პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 141 (9609) | ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ყოველმხრივ მზად შევხვდეთ მარცვლეულის აღებას! — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად (1-ლი გვერდი).
სადღეისო თემაზე. — სოფლის საეკონომო უბანი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — კვლავ ძველებურად (მე-2 გვერდი).
გ. ჩაჩანიძე. — ნოვატორ კომბაინერთა მაგალითით (მე-2 გვერდი).
მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის (მე-2 გვერდი).
მოწინავეთა ტრიბუნა. — ჩვენი [illegible] (მე-2 გვერდი).
სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის [illegible] ლები თბილისში (მე-3 გვერდი).
ჩვენი ფოსტა. — მკითხველთა შენიშვნები გაზეთში (მე-3 გვერდი).
ა. კუსრაშვილი. — რა ხდება ესპანეთში (მე-3 გვერდი).
გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მზად შევხვდეთ მარცვლეულის აღებას!

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში დაიწყო ახალი მოსავლის ქერის შერჩევით აღება. სულ მალე მკა მასობრივად გაჩაღდება.

მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს, რადგან ამ კამპანიის ოდნავი შეფერხებაც კი დანაკარგებს იწვევს. ამიტომ მოსავლის აღება დიდ ორგანიზებულობას, არსებული ტექნიკისა და შრომითი რესურსების გონივრულად გამოყენებას მოითხოვს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების მაღალი დონე და სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის მშრომელთა ბრძოლის მდიდარი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს წლევანდელი მოსავალი სწრაფად, უდანაკარგოდ ავიღოთ და ამით საბჭოთა სახელმწიფოს დავუზოგოთ მარცვლეული.

მტს-ები წელს ახალი, გაზრდილი ამოცანების წინაშე დგანან. სამანქანო ტექნიკის უნარიანად გამოყენებით მათ უნდა აიღონ მეტი მოსავალი, ვიდრე წარსულ რომელიმე წელს. ეს გარემოება ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს და მტს-ების დირექციებს ავალებს ყოველმხრივ მოამზადონ სამანქანო პარკი მოსავლის აღებისათვის. სწორედ ასე მოიქცნენ რესპუბლიკის მოწინავე მტს-ები, რომლებმაც მოსავლის აღების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე უზრუნველყვეს კომბაინებისა და მარტივი მანქანების რემონტის დამთავრება. მაგრამ ასე არ ითქმის ბოგდანოვკის, მანგლისის, სტალინირის და სხვა მტს-ებზე, სადაც რემონტის ყოველგვარი ვადის გასვლის მიუხედავად კომბაინების შეკეთება აქამდე არ დაუმთავრებიათ. ჭიანურდება მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების რემონტიც. ჩანს, აღნიშნული მტს-ების დირექციები, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ მოსავლის აღების დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას, რითაც სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებენ ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

თუმცა მოსავლის აღება, ისიც შერჩევით მკა, რამდენიმე რაიონში დაიწყო და ქერის მხოლოდ პირველი ჰექტარებია აღებული, მაინც შეგვიძლია გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა იმ ნაკლოვანებებიდან, რომლებიც მკის პირველმა დღეებმა გვიჩვენა.

ყვარლის რაიონის ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, როგორც ვწერდით ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, 13 ივნისს კომბაინერ ვ. რაქვიაშვილის კომბაინი დაზიანდა. იმის გამო, რომ მექანიზატორთა დასახმარებლად ყვარლის მტს-იდან არავინ მოსულა, კომბაინით მკა 5 საათს შეფერხდა. ორი დღის განმავლობაში აგრეგატს მეშტურვალეც არა ჰყავდა. მკის პირველ დღეებში ნაკლოვანებები გამოვლინდა ლაგოდეხის რაიონშიც.

ახლა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, თვითეული მტს-ისა და კოლმეურნეობის მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ მკის მასობრივად გაჩაღებამდე სრულ წესრიგზე მოიყვანონ არსებული მატერიალური და ტექნიკური საშუალებანი, სასწრაფოდ აღმოფხვრან მოსავლის აღების პირველ დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ამ რამდენიმე დღის წინათ ახმეტის რაიონის მოწინავე კომბაინერმა ს. რაჭაზაშვილმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა. ჩვენი გაზეთის საშუალებით მან წინადადება წამოაყენა მოეწყოს კომბაინერთა შეჯიბრება მომდინარე წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ახმეტელ კომბაინერის წინადადებას მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოში კარგად ცნობილი კომბაინერები: ალაზნის მტს-ში — მ. ლაზარიაშვილი, რუისის მტს-ში — ი. ტატვინიძე, შირაქის მტს-ში — ი. მელიქიშვილი და სხვები. ამასთან კომბაინერთა შეჯიბრება ყოველდღიურად ფართოვდება, მასში ებმებიან მექანიზატორთა სულ უფრო და უფრო ახალი ძალები.

კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე ახალ წარმატებათა გამრავლება, წინსვლისადმი დაუღალავი სწრაფვა და თავისი პროფესიის სრულყოფა საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი თვისებებია. ამასთანავე ისინი მიღწეულით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ სურთ ტექნიკისაგან მიიღონ ყველაფერი, რის მოცემაც მას შეუძლია.

მოსავლის უდანაკარგოდ აღების კეთილშობილურ მიზანს ემსახურება ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკთა მიმართვა საქართველოს ყველა მტს-ის მექანიზატორისა და ყველა კოლმეურნისადმი თავთავიანი კულტურების მოსავლის დროულად, უდანაკარგოდ აღების შესახებ, რაც ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში გამოქვეყნდა.

სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის დიდმნიშვნელოვანი საახალხო საქმეა. ამიტომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უპირველესი მოვალეობაა ამ შეჯიბრებას მისცენ რაც შეიძლება მასობრივი ხასიათი, მასში ჩააბან ყოველი მექანიზატორი, ყოველი კოლმეურნე, დაეხმარონ მათ კონკრეტულ ვალდებულებათა აღებასა და პირნათლად გახაღდებაში.

მოსავლის აღების დროს მთავარი ამოცანაა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ ამ ამოცანის შესრულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსავლის ასაღებ სამუშაოთა ყველა ეტაპზე. მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა მკისა და პურის ჩაბარების მაღალი ტემპი უნდა შეახამონ ასაღებ სამუშაოთა მაღალ ხარისხთან, არ დაუშვან დანაკარგები მკის, აღებული მოსავლის დამუშავებასა და მარცვლეულის გადაზიდვაში. ერთმანეთის პარალელურად უნდა ვაწარმოოთ პურის მკა, დაზვინვა, ლეწვა.

დანაკარგების აღსაკვეთად საჭიროა აგრეთვე ყოველ კომბაინზე მოვაწყოთ ჩაწოლილი პურის ასაღები მოწყობილობა, უზრუნველვყოთ მოსავლის ასაღები აგრეგატები მარცვალმჭერებითა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.

პურის აღების საქმეში მთავარ რგოლს წარმოადგენს მარცვლეულის დამუშავება კალოზე. იმისათვის, რომ არ დავუშვათ კალოზე მარცვლეულის დიდი რაოდენობით დაგროვება და სწრაფად გავგზავნოთ პური სახელმწიფოს საწყობებში, უნდა განვახორციელოთ პურის გაწმენდის, გაშრობისა და გადაზიდვის კომპლექსური მექანიზაცია, რასაც უკანასკნელ წლებში წარმატებით იყენებენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მტს-ები. ჩვენს ხელთ არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკაში პროგრესული კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას სუსტად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო. ამ საქმისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებიც.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ წელს ვადამდე შევასრულოთ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, თუ ჯეროვნად მოვაწყობთ კალოებზე მარცვლეულის გაწმენდასა და გაშრობას, ზუსტად დავიცავთ მარცვლეულის გადაზიდვის გრაფიკს.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელს ათობით და ასობით ჰყავს თავისი საქმის ოსტატი კომბაინერი. პარტიული ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა ფართოდ გაავრცელონ ნოვატორ კომბაინერთა მდიდარი გამოცდილება, მექანიზატორთა ფართო მასების კუთვნილებად გადააქციონ მოსავლის აღების მათი ხერხები და მეთოდები.

მოსავლის აღების პერიოდში, ისე როგორც არასდროს, უნდა გავაძლიეროთ ველად მომუშავეებთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და გავაუმჯობესოთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები.

მეხუთე ხუთწლედის მესამე წლის მოსავლის დროულად, უდანაკარგოდ აღებით მივცეთ სამშობლოს მეტი პური და ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება!

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ უბედური შემთხვევის შედეგად ა. წ. 14 ივნისს დაიღუპა გამოჩენილი საბჭოთა კინო-მსახიობი, სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ნატალია გიორგის ასული ვაჩნაძე.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. გ. ვაჩნაძის დაკრძალვის მომწყობი კომისია

შექმნილია: საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. გ. ვაჩნაძის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი მემორგენლობით: პ. კანდელაკი (თავმჯდომარე), ვ. აწყაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, ე. ჯაფარიძე, ს. დოლიძე, ს. ანანიშვილი, ვ. კიკნაძე, გ. ლეონიძე, ნ. სანდიშვილი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★★

მეტალურგთა შრომის პირობების გაუმჯობესება

ლენინგრადი. (საკდესი). საოცრად შეიცვალა ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ფოლადსადგლინავი და მავთულ-სამაგირო ქარხნის საამქროებისა და უბნების სახე. სპეციალური მექანიზმები და უახლესი მოწყობილობა ძირეულად ცვლის მეტალურგთა შრომის პირობებს.

...ცხლადსადგლინავ საამქროში ბევრი გავარვარებული ლითონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ სიგრილეა. საამქროში ამუშავდა მძლავრი საევნტილაციო დანადგარი. იგი სამუშაო ადგილებიდან ისრუტავს მხურვალე ჰაერსა და ლითონის მტვერს. ყოველი მვალცავის გვერდით დგას გადასატანი ვენტილატორი, რომელიც ახალ სუფთა ჰაერს აწვდის.

საზამბარო საამქროში, სადაც საათის სულ პატარა ზამბარები მზადდება, დადგმულია დღის სინათლის ლამპები. ფოლად-მავთულის საამქროში საადიო აგრეგატებისათვის კონსტრუირებულია მოწყობილობა, რომელიც მავთულის ბოლოებს იჭერს გაწყვეტის დროს.

ფართოდ ხორციელდება სატრანსპორტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია.

წელს მეტალურგების შრომის შემსუბუქებისა და დაცვისათვის გაღებულია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

დისერგაციის დაცვა

ბაკო. (საკდესი). ბუზოვნის ბურღვის კანტორის წითელ კუთხეში არაჩვეულებრივად ბევრი ხალხი იყო. აქ აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის ნავთობსარეწისა და საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებულ გამსვლელ სხდომაზე შეიკრიბნენ ბურღვის ოსტატები, მბურღავები და საწარმოს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. დისერტაციას იცავდა ინდუსტრიული ინსტიტუტის მასწავლებელი ინჟინერი ბადალოვი. მისი გამოკვლევის თემა იყო „სანგრევში სამფრეზიანი სატეხის მუშობის ეფექტიანობა". წარმოების მუშაკებთან ერთად დისერტანტმა შეიმუშავა როტორული ბურღვის ოპტიმალური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჭაბურღილების გაბურღვის დიდ სიჩქარეს.

სხდომაზე ოფიციალურ მეცნიერ ოპონენტებთან ერთად გამოვიდნენ ოსტატები მამედ ველი, მეჯიდ რასულოვი, ბურღვის კანტორის მთავარი მექანიკოსი ვ. ზ. გრიცენკო და სხვები. მათ აღნიშნეს ინჟინერ ბადალოვის მეცნიერული გამოკვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, აგრეთვე ის დახმარება, რომელიც გაუწია მან მბურღავებს ბურღვის დიდ სიჩქარეთა მიღწევაში.

სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებით ბადალოვს მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

სოფლის ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაცია

ერევანი. (საკდესი). დაუშრეტელია სომხეთის წყალის ენერგეტიკული რესურსები. რესპუბლიკაში მთის დაახლოებით ორასამდე მდინარეა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად. მათზე უკვე აგებულია ათობით სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ყველა კოლმეურნეობის ოთხი მეხუთედის ელექტროფიცირება.

ენერგეტიკოსები შეუდგნენ სოფლის ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაციას. ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია სომხეთის ყველაზე მძლავრ სასოფლო ჰიდროელექტროსადგურში — ოქტემბერიანის ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს 33 სოფელს, სამრეწველო საწარმოებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს. სადგურის ავტომატიზაციის სქემა ითვალისწინებს აგრეგატების ამუშავებასა და გაჩერებას მართვის ფარიდან და ავტომატურ გაჩერებას ავარიის დროს.

ავტომატიზაცია ხორციელდება აგრეთვე არტაშატის ჰიდროელექტროსადგურსა და შამშადინის რაიონის წაჩკავანჩესში.

სოფლის ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაცია

ერევანი. (საკდესი). დაუშრეტელია სომხეთის წყალის ენერგეტიკული რესურსები. რესპუბლიკაში მთის დაახლოებით ორასამდე მდინარეა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად. მათზე უკვე აგებულია ათობით სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ყველა კოლმეურნეობის ოთხი მეხუთედის ელექტროფიცირება.

ენერგეტიკოსები შეუდგნენ სოფლის ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაციას. ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია სომხეთის ყველაზე მძლავრ სასოფლო ჰიდროელექტროსადგურში — ოქტემბერიანის ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს 33 სოფელს, სამრეწველო საწარმოებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს. სადგურის ავტომატიზაციის სქემა ითვალისწინებს აგრეგატების ამუშავებასა და გაჩერებას მართვის ფარიდან და ავტომატურ გაჩერებას ავარიის დროს.

ავტომატიზაცია ხორციელდება აგრეთვე არტაშატის ჰიდროელექტროსადგურსა და შამშადინის რაიონის წაჩკავანჩესში.

მოსკოვი. რევოლუციის მოედანი.

ფოტო ვ. კუნოვისა და ვ. სობოლევისა.

გორკის სახელთან დაკავშირებული ადგილები ლენინგრადში

ლენინგრადი, 14 ივნისი. (საკდესი). ასობით ექსკურსანტი — მეორე ხუთწლედის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველები, უნივერსიტეტის და საბიბლიოთეკო ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ დღეს ლენინგრადის იმ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია გორკის სახელთან.

...ნაცრისფერ, გრანიტით მოპირკეთებული შენობის ფასადზე მიმაგრებულია მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში 1914-დან 1921 წლამდე ცხოვრობდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი". ექსკურსანტები ინტერესით ათვალიერებენ აგრეთვე მაქსიმ გორკის პროსპექტის პარალელურად მდებარე ლენინის სახელობის პარკს, სადაც არის ყოფილი სახალხო სახლის შენობა. აქ 1917 წლის აპრილში რუსული ხიტყვის დიდმა ოსტატმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „მეცნიერება და დემოკრატია".

ნაუკუნის დამდეგს მ. გორკი პეტერბურგში ეწეოდა მჩქეფარე რევოლუციურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. აქ შექმნა მან ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები. პეტრე-პავლეს ციხეში, რომელიც შემდეგ მუზეუმად იქცა, ტრუბეცკოის ბასტიონის ერთ-ერთ საკანში 1905 წელს დამწყვდეული იყო გორკი. აქ დწერა მან პიესა „მზის შვილები".

ლენინგრადში ყოფნისას ალექსი მაქსიმეს-ძე დადიოდა ფაბრიკებში, ქარხნებში, კლუბებში, კულტურის სასახლეებში. ზოგიერთ მათგანში: კულტურის სასახლეში, რომელიც მდებარეობს გაფიცვების მოედანზე და ახლა გორკის სახელს ატარებს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სტამბაში — „ბეჭდვითს სახლში", რომელსაც აგრეთვე მწერლის სახელი ეწოდება, მან დატოვა ჩანაწერები, რომლებიც ინახება როგორც ძვირფასი რელიკვია. აღფრთოვანებული იყო რა ჩვენი ქვეყნის უდიდესი კულტურული მიღწევებით, დიდ მწერალს სურდა კულტურის კერებს მუშაობაში ჭკონოდათ ისეთი ძალა, როგორიც აქვს ცეცხლს, რომელიც რკინის მადანს ფოლადად აქცევს.

რამდენიმე ხანს ა. მ. გორკი ცხოვრობდა ქალაქის მახლობლად, სადგურ მუსტომიაკისთან. აქ იგი ხვდებოდა კომუნისტური პარტიის მოღვაწეებს, აგრეთვე ვ. ვ. მაიაკოვსკის. ახლა ყოფილი საავარაკო დაბა მუსტომიაკი გორკის სახელს ატარებს. სახლის ფასადზე, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი მწერალი, გაკეთებულია მემორიალური დაფა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელები აღნიშნავენ ა. მ. გორკის გარდაცვალების 17 წლისთავს, რაც 18 ივნისს სრულდება. ქალაქის კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებში, პარკებში, უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა გამოფენები, ლექციები საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის შემოქმედებითი გზის შესახებ. მრავალრიცხოვანი ექსკურსიები მიდის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის მუზეუმში, სადაც თავმოყრილია სახვითი ხელოვნების მრავალი ნაწარმოები, მასალები და დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ დიდი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად

გურჯაანელთა სიტყვა

გურჯაანი. („კომუნისტის" კორ.). რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე უხვი მოსავალია. განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავია ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ნათესები. კოლმეურნეები აქ თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერ პურს მოელიან. ცალკეულ ნაკვეთებზე ხორბლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 25 ცენტნერს გადაამეტებს.

კარგი ყანები აქვთ შაშიანელ და მუკუზნელ კოლმეურნეებსაც.

3 დღეში დაიწყება პურის შერჩევით აღება კარდანახის სტალინის სახელობის, კოლაგი სტალინის სახელობისა და ბაკურციხის კოლმეურნეობებში.

მექანიზატორები და კოლმეურნეები, რომელთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ საფუძველი ჩაუყარა უხვ მოსავალს, გაცხოველებით ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. მტს-ებსა და კოლმეურნეობებს აქვთ მოსავლის აღების კარგად მოფიქრებული გეგმები, დამტკიცებულია კომბაინთა მოძრაობის გეგმა-მარშრუტები, განხორციელებულია მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები.

გურჯაანისა და ველისციხის მტს-ების მექანიზატორები კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკთა მიმართვას მოსავლის დროულად, უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ლაგოდეხელთა მიმართვის პასუხად ველისციხის მტს-ის მექანიზატორებმა კონკრეტული შრომითი ვალდებულებანი იკისრეს. ისინი 20 სამუშაო დღეში 3.200 ჰექტარზე აიღებენ მოსავალს. ჰურის ჩაბარებას დაიწყებენ მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე იმ ანგარიშით, რომ ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულონ პურის დამზადებისა და ნატურანაზღაურების გეგმა მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის. ყველა კოლმეურნეობაში მოეწყობა მექანიზებული კალო, სადაც მარცვლეულის წენდისა და გაშრობის სამუშაოები ჩქარი ტემპით იწარმოებს.

გურჯაანის მტს-ის კომბაინერმა ბელიაშვილმა პირობა დადო 500 ჰექტარზე აიღოს მოსავალი. ველისციხის მტს-ის კომბაინერი ქართველაშვილი 400 ჰექტარზე აიღებს მოსავალს.

ორი კომბაინერის შეჯიბრება

ბარდადანი. („კომუნისტის" კორ.). ხორბლის აღებისათვის გაცხოველებით ემზადებიან გარდაბნის მტს-ის მექანიზატორები. ამ დღეებში ისინი გაეცნენ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის კოლექტივის მიმართვას მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების შესახებ.

კომბაინერთა შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. კომბაინერმა ა. ნასიბოვმა, რომელმაც წელს გარდაბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ქერის მოსავალი აიღო, ვალდებულება იკისრა „სტალინეც-6" მარკის კომბაინით 25 სამუშაო დღეში 250 ჰექტარის ნაცვლად 400 ჰექტარზე აიღოს პური. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ი. ისმაილოვი. გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს მტს-ის სხვა კომბაინერებმაც.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

საირიგაციო მშენებლობა ჩინეთში

შანხაი. (საკდესი). მდინარე მინძიანი ფუძიანის პროვინციის უდიდესი მდინარეა. იგი 20 მაზრაზე გადის. მდინარე მინძიანის ქვემო წელი მიედინება მთაგორიან ადგილზე და ზაფხულის თვეებში ისე დიდდება, რომ ვრცელ სამწყანოს მოქმედო რაიონებს წალეკავს ხოლმე. მილიონობით გლეხის ოჯახს ყოველწლიურად უდიდესი ზარალი მოსდიოდა. ადიდების დროს მდინარეს ხშირად წაულეკავს პროვინციის დედაქალაქ ფუჯოუს ბევრი ქუჩა. ახლა ეს აღარ გამეორდება.

როგორც გაზეთი „ვენგუიბაო" იუწყება, ამჟამად მდინარე მინძიანის ქვემო წელში დამთავრდა იანვარში დაწყებული უდიდესი ჯებირის მშენებლობა. ეს ჯებირი წყალდიდობისაგან დაიცავს სახნავ-სათესი მინდვრების მნიშვნელოვან ფართობს და ქალაქ ფუჯოუს. ჯებირის აგებაში მონაწილეობა მიიღო 60 ათასზე მეტმა მშენებელმა. მშენებლობის მსვლელობაში შესრულებულია 2.800 ათას კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაოები, რაც 40 პროცენტით აღემატება გომინდანელთა ბატონობის წლებში შესრულებული ყველა სამუშაოს მოცულობას.

როგორც გაზეთი „ფუძიანიბაო" იუწყება, გაზაფხულის მინდვრის სამუშაოებისათვის მზადების დროს ფუძიანის პროვინციაში, არასრული ცნობებით, აშენებულია 38.700 საირიგაციო ნაგებობა და 109 წყალსაცავი. ამ სამუშაოთა შედეგად 1.270 ათასი მუ (მუ უდრის 0,06 ჰექტარს) გლეხთა მინდვრები დაცულია წყალდიდობისაგან და უზრუნველყოფილია მორწყვით.

უმაღლესი განათლების წარმატება პოლონეთში

ვარშავა, 12 ივნისი. (საკდესი). უმაღლესი განათლება სახალხო პოლონეთში ფართოდ განვითარდა. ამჟამად პოლონეთში 83 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სწავლობს 136 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი, ესე იგი თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე ომამდე სწავლობდა. ომამდელ პერიოდთან შედარებით ერთიორად გაიზარდა სამედიცინო და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების რიცხვი. კეთედრების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში ომამდელ დროსთან შედარებით ერთისამად გადიდდა.

სახალხო სახელმწიფო მილიარდობით ზლოტს ხარჯავს სასწავლებლების ახალ შენობათა მშენებლობაზე.

პოზნანში დაიწყო ახალი სახლების კომპლექსის მშენებლობა უმაღლესი საინჟინრო სკოლისათვის. 1955 წელს აქ იმეცადინებს დაახლოებით 1.600 სტუდენტი.

ვარშავაში 50 ჰექტარ ფართობზე მიმდინარეობს მთელი „აკადემიური რაიონის" მშენებლობა — აქ მოთავსდება ვარშავის სამედიცინო აკადემია, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, დაგეგმვისა და სტატისტიკის უმაღლესი სკოლა და სხვა სასწავლებლები.

სახალხო ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო უმაღლეს სასწავლებელთა კარი მუშათა და გლეხთა შვილებს. ახლა მუშათა და გლეხთა მოსწავლე შვილების რიცხვი ომამდელ პერიოდთან შედარებით 15-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

შარშან პოლონეთის უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრა 35 პროცენტით მეტმა სტუდენტმა, ვიდრე 1951 წელს. ეკვსწლიანი გეგმის დამთავრებისათვის პოლონეთის სახალხო მეურნეობა მიიღებს 50 ათას ინჟინერს, 30 ათას მასწავლებელს, 22 ათას ექიმს, 20 ათას ეკონომისტს, 17 ათას იურისტს და სხვ.

ახალი უმაღლესი სასწავლებლები ბულგარეთში

სოფია, 13 ივნისი. (საკდესი). სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბულგარეთის უდიდესი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — სტალინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელშიც 5 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს, 1953-1954 სასწავლო წლიდან იყოფა ოთხ დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად: საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტად, სამანქანო-ელექტროტექნიკურ ინსტიტუტად, ქიმიურ-ტექნოლოგიურ და მეტალურგიულ ინსტიტუტად და სამთო-გეოლოგიურ ინსტიტუტად.

სოფიის გიორგი დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია აგრეთვე იყოფა სამ დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად: სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტად, სავეტერინარო-სამედიცინო ინსტიტუტად და გიორგი დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიად. ვ. კოლაროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს პლოვდივში გამოეყო გემო-კვების მრეწველობის ინსტიტუტი.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 1953 წლის 15 ივნისისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 33,6 პროცენტით, ივნისის დავლება მაისის დანაკლისის ჩათვლით — 59,9 პროცენტით. ცალკე რაიონებში კრეფის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს ჩაის კრეფის ივნისის გეგმა მაისის დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 65,5 პროცენტით, ქობულეთის რაიონს — 92,6, ქედის — 76,9, გალის — 45,3, ოჩამჩირის — 59,4, გულრიფშის — 45,3, სუხუმის — 100,4, გუდაუთის — 96,9, მახარაძის — 72,9, ჩოხატაურის — 55,3, ლანჩხუთის — 58,5, სამტრედიის — 28,4, წულუკიძის — 19,7, ჭუთაისის — 40, წყალტუბოს — 8,9, ტყიბულის — 56, ცხაკაიის — 33,9, აბაშის — 22,3, გეგეჭკორის — 46,3, ზუგდიდის — 52,1, წალენჯიხის — 52,7, ჩხოროწყუს — 41, ხობის — 26,2, თერჯოლის — 10 და ზესტაფონის რაიონს — 8,4 პროცენტით.

საღეისო თემაზე

სოფლის საექიმო უბანი

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას დიდი ყურადღება ექცევა. ხალხს ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს მოსახლეობის რიცხვი, სულ უფრო და უფრო მცირდება სიკვდილიანობა.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით მიღწეულია მოსახლეობის სამედიცინო და სანიტარული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება და გაფართოება. საკმარისია ითქვას, რომ საწოლთა რაოდენობა ქალაქების და სოფელ ადგილების საავადმყოფოებში 1951 წელს 30 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით ექიმთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 80 პროცენტით გაიზარდა.

ახალ, მეხუთე ხუთწლედში დასახულია ამოცანა: უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება და განვითარება, საავადმყოფოების, დისპანსერების, სანატორიუმების შემდგომი აღჭურვა უახლესი სამედიცინო მოწყობილობით, მათი მუშაობის კულტურის ამაღლება. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროფილაქტიკის საკითხებს, მედიცინის მეცნიერების მიღწევების, დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრების ფართოდ დანერგვას პრაქტიკაში.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა. აღსანიშნავია, რომ სოფლად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

ამის მკაფიო მაგალითს გვიჩვენებს თელავის რაიონის სოფელ იყალთოს საექიმო უბანი. მისი გამგე ამხ. შათირიშვილი უნარიანად უძღვება დაკისრებულ საქმეს. უბანი კეთილმოწყობილია, უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. იგი მოსახლეობაში სისტემატიურად ატარებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. ამხ. შათირიშვილი შედგენილი გეგმის მიხედვით ხშირად აწყობს სოფლის მშრომელებისათვის ლექციებს, საუბრებს ჯანმრთელობის საკითხებზე. მშრომელები კმაყოფილი არიან ამ უბნის მუშაობით.

მოსახლეობის მადლობას იმსახურებს სოფელ კულაშის (სამტრედიის რაიონი) საუბნო საავადმყოფო (გამგე ამხ. გეგეშიძე). მას აქვს 15 საწოლი, საავადმყოფო კარგ ბინაშია მოთავსებული, აქ მაღალ დონეზე დგას სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობა.

ეს მოსაწონი და კარგი საქმეა. მაგრამ ცუდია, რომ ამავე რაიონის ზოგიერთი საექიმო უბანი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სოფელ ოფეთის საექიმო უბანი (გამგე ამხ. კუხალეიშვილი). იგი მოთავსებულია უვარგის ბინაში. უბანში დაცული არ არის სისუფთავე და წესრიგი. საკმაო რაოდენობით არა აქვთ ინვენტარი და მედიკამენტები. ცუდად არის დაყენებული მშრომელთა მომსახურება, მოსახლეობაში არ აწყობენ ლექციებს, საუბრებს. ეს მარტო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების უხეირო მუშაობით როდი აიხსნება; ამაში ბრალი მიუძღვით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებსაც. ისინი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ საექიმო უბნის მუშაობას. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

სოფლის საექიმო უბნები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ. მშრომელები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საუკეთესო საექიმო მომსახურებით, მათი ჯანმრთელობის დაცვას შეუნელებელი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ საქმეში მკვეთრ გარდატეხას მივაღწევთ მაშინ, როცა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები მთელი პასუხისმგებლობით ნოეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

პარტიული ცხოვრება

კვლავ ძველებურად

27 აპრილს ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ პარტბიუროს ახალი შემადგენლობა აირჩია. სხვა ამოცანებთან ერთად კრებამ პარტბიუროს დაავალა საგაზაფხულო სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება. ახლადარჩეულმა პარტბიურომ, გაითვალისწინა რა ამ ღონისძიების პირველ რიგში განხორციელების აუცილებლობა, 22 მაისს პარტიულ კრებაზე განსახილველად დააყენა საკითხი საგაზაფხულო ხვნათესვის მიმდინარეობის შესახებ. კრებაზე აღინიშნა, რომ პირველ ბრიგადაში 114 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან შრომაში ჩაბმული არ არის თითქმის ნახევარი. ასეთივე მაგალითები მოყვანილ იქნა სხვა ბრიგადების მუშაობიდანაც.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და საგაზაფხულო სამუშაოების დასაჩქარებლად პარტიულმა კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი. მაგრამ პარტბიუროო და მისი მდივანი მ. ჩადუნელი მარტო საკითხის განხილვით დაკმაყოფილდნენ და არ მოაწყეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. ამიტომ კოლმეურნეობაში კვლავ მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია, ხოლო ზარმაცების მიმართ საჭირო ზომებს არ იღებენ. შესრულებული არ არის საგაზაფხულო თესვის გეგმა, ჭიანურდება შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავება და ჰლანტაციებში მინერალური სასუქის შეტანა, დაუმუშავებელი და მოუვლელია ვენახები, ჯერ არ დაუწყიათ მოსავლის აღებისათვის მზადება.

ეს ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. პარტიული ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი 12 აგიტატორიდან მხოლოდ ოთხი აგიტატორი მართავს საუბრებს, ისიც არასისტემატურად. ცუდად მუშაობს კედლის გაზეთი „კოლმეურნე“. გაზეთი ყურადღებას არ ამახვილებს ნაკლოვანებებზე.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია 22 კომუნისტს აერთიანებს. ეს დიდი ძალაა კოლმეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგრამ იმის გამო, რომ პარტბიუროო ვერ იჩენს ინიციატივას, სუსტად რაზმავს კომუნისტებს მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ მოკლებულია პარტიის ხაშურის რაიკომის მხრივ საჭირო კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩება.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

ზესტაფონი. („კომუნისტის“ კორ.). დამთავრდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარის მეცადინეობა, რომელიც ამ დღეებში პარტიის რაიკომმა მოაწყო.

მოსმენილ იქნა ლექციები და მოხსენებები თემებზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით“, „საბჭოთა კავშირის კომპარტიის წესდება“, „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისა და მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისათვის“, „პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხები“.

გაზეთების ფურცლებზე

პროფჯგუფორგის გამოცდილება გაზეთში

გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ 2 ივნისის ნომერში დაბეჭდა ვრცელი განყოფილება სუხუმის საორთქლმავლო დეპოს იმ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის მუშაობის შესახებ, სადაც პროფკავშირული ჯგუფის ორგანიზატორად ლუნინელი მემანქანე ივ. სარჯველაძე მუშაობს. ეს ბრიგადა მოწინავეა შეჯიბრებაში და მარტო წელს პირველ კვარტალში 14 ათასი კილოგრამი საწვავი დაზოგა. კარგად იმუშავა მაისშიც. ახლა ბრიგადა ჩაბმულია რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და აქტიურად იბრძვის გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა გასანაღდებლად.

ბრიგადის წარმატებების და ამ წარმატებათა მოპოვებაში პროფკავშირული ჯგუფის ორგანიზატორის ი. სარჯველაძის დადებითი გამოცდილების დაწვრილებით განმარტების შემდეგ გაზეთი დასძენს:

„აფხაზეთის საწარმოებში პროფჯგუფორგები ასობით არიან. მათ შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენაა ყველა შესაძლებლობა აქვთ, თვითეულ მათგანს უდავოდ შეესწავლა უნარი თავის სამოქმედო უბანში გააკეთოს ის, რასაც კომკავშირელი მემანქანე პროფჯგუფორგი ივანე სარჯველაძე აკეთებს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ იმუშაო სულით და გულით, მონდომებით, მაქსიმალური ენერგიით“.

გაზეთმა კარგი საქმე გააკეთა, რომ დაბეჭდა მასალა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებაზე. საჭიროა ჩვენმა ადგილობრივმა პრესამ მეტი ყურადღება მიაქციოს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, უფრო ხშირად ბეჭდოს მასალები პროფკავშირულ მუშაობაში გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

10 დღეში — 19 მძიმე წონის მატარებელი

სამტრედია. („კომუნისტის“ კორ.). სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი, რომელიც რკინიგზელის საკავშირო დღისათვის უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად ეჯიბრება სუხუმელ მეორთქლმავლეებს, დიდი წარმატებით მუშაობს ივნისში.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატები, ლუნინელი მემანქანეები კ. მიგინეიშვილი, პ. ქანთარია და ვ. ლორია. დეპოს მეორთქლმავლეებმა ივნისის პირველ დეკადაში დანიშნულებისამებრ გადაიყვანეს 19 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს რამდენიმე ათასი ტონა სახელმწიფო ტვირთი.

გურჯაანელი მელიანდაგეების გამარჯვება

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). გურჯაანელმა მელიანდაგეებმა მაისში ნაყოფიერად იმუშავეს, საწარმოო დავალებები შეასრულეს და 13.000 მანეთის ხაშენი მასალები დაზოგეს.

მაისში საუკეთესო მაჩვენებლებით გურჯაანელმა მელიანდაგეებმა ამიერკავკასიის რკინიგზის მელიანდაგეთა შორის შეჯიბრებაში მოიპოვეს პირველი ადგილი და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მემანქანეთა პირად საანგარიშო ფურცლებზე

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზელის საკავშირო დღისათვის მზადების პერიოდში მოწინავე ხაშურელმა მემანქანეებმა პირად საანგარიშო ფურცლებზე უკვე აღნიშნეს მათ მიერ მოღებული ეკონომიის მაჩვენებლები.

მემანქანე ი. პაპუაშვილმა რკინიგზელის დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ გასწია 10 ტონა საწვავისა და ორთქლმავლის შესაკეთებლად გათვალისწინებული თანხიდან 3.000 მანეთის ეკონომია. უფროსმა მემანქანემ გ. ცერცვაძემ, რომელიც მძიმე წონის მატარებელთა გადაყვანაზე მუშაობს, დაზოგა 13 ტონა და 851 კილოგრამი საწვავი.

ასევე წარმატებით იბრძვიან საწვავისა და თანხების ეკონომიისათვის ლუნინელი მემანქანეები ნ. ტუროვი, ი. ლაცაბიძე, ა. მამიაშვილი და შ. რაზმაძე.

სამგზავრო-საფოსტო ავტომანქანების გამოშვება

მალე საქართველოს გზატაეცილებზე გამოჩნდებიან კარგად მოწყობილი, ლამაზი სამგზავრო-საფოსტო ავტომანქანები, რომლებიც მგზავრებთან ერთად მოემსახურებიან საფოსტო უწყებას ყურნალ-გაზეთების, კორესპონდენციებისა და სხვადასხვა საფოსტო გზავნილებათა სწრაფად გადატანაში.

ამ მანქანებზე მოწყობილია სპეციალური განყოფილება საფოსტო გზავნილებისათვის. იქვე არის საფოსტო ყუთი, რომელშიც გზადაგზა ყველას შეუძლია ჩაუშვას წერილი. სამგზავრო-საფოსტო ავტომანქანებს აკეთებენ ჩვეულებრივი სატვირთო მანქანისაგან თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნოში. უკვე გამოშვებულია ორი ასეთი მანქანა, გამოსაშვებად მზად არის კიდევ ორი მანქანა.

ამ მანქანების გამოშვებას მგზავრები საერთო მოწონებით შეხვდნენ. მათს გაკეთებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნოს ინჟინერ-ტექნიკოსებს და მოწინავე მუშებს — ხარატ ო. ჭელიძეს, მეთუნუქე დ. სულხანიშვილს და დურგალ გ. შინიშვილს.

მოწინავეთა ტრიბუნა

ჩვენი გამოცდილება

ათი წელია, რაც გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობაში მერგოლურად ვმუშაობ. წლების მანძილზე გეგმის დიდი გადაჭარბებით მომყავს როგორც შაქრის ჭარხალი, ისე სხვადასხვა ხილი. ჩემს შრომას საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა — მიღებული მაქვს ლენინის ორი ორდენი.

დ. მაჩნიაშვილი.

★

ჩვენი რგოლის წევრები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლის მისაღებად და იბრძვიან 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანისათვის.

რით ვაღწევთ წარმატებებს, რა ღონისძიებებს ვახორციელებთ მოსავლიანობის გადიდებისათვის?

უწინარეს ყოვლისა შრომის სწორად მოწყობით, მზრალად ხვნით 27-28 სანტიმეტრის სიღრმეზე, სასუქების ფართოდ გამოყენებით, დროზე და მოკლე ვადებში თესვით, თვითეულ ჰექტარზე 110-120 ათასი ძირი ჭარხლის შენარჩუნებით, ნათესის მწკრივთა შორის 6-7-ჯერ დამუშავებით, ხშირად მორწყვით, მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან დაცვით.

შაქრის ჭარხლისათვის ყველაზე კარგ წინამორბედ კულტურებად მიგვაჩნია პურეული, მრავალწლიანი ნათესი ბალახები და ბოსტნეული. წელს ჭარხალი ადრე აოშილ მიწებზე დავთესეთ. ნიადაგი მზრალად ნოემბერში მოვხვნინთ, თვითეულ ჰექტარზე წინასწარ შევიტანეთ 3 ცენტნერი სუპერფოსფატი, 1,5 ცენტნერი სულფატამონიუმი და 1 ცენტნერი კალიუმის მარილი. ნიადაგი რკინის ფარცხით ჯვარედინად დავფარცხეთ, დაახლოებით 8-10 დღის შემდეგ მოვახდინეთ აოშვა, გავასწორეთ და შაქრის ჭარხალი კომბინირებული სათესი მანქანით დავთესეთ. თესვისას მწკრივებში თვითეულ ჰექტარზე 32 კილოგრამი მაღალხარისხოვანი თესლი და 1,5 ცენტნერი სუპერფოსფატი შევიტანეთ. თესვა ისე მოვაწყეთ, რომ თანაბარი და სწორი მწკრივები მიგვეღო.

მოვაწყეთ მწკრივთა შორის პირველი მსუბუქი ანუ 4-5 სანტიმეტრის სიღრმეზე გაფხვიერება. ამავე დროს ნათესებში ხელით ამოვმარგლეთ სარეველა მცენარეები, ხოლო მწკრივების გაცდენილი ადგილები დამბალი თესლით გამოვთესეთ.

დროულად ჩავატარეთ პლანტაციების შემოწმება, შეთხელება, რადგან ჭარხლის თვითეული თესლიდან ხშირად რამდენიმე მცენარე აღმოცენდება. ჯგუფ-ჯგუფად ამოსულ მცენარეებს ვათხელებთ. თვითეული მცენარისათვის სათანადო კვების არის შესაქმნელად, ნორმალური სიხშირის დასაცავად მწკრივებში მცენარეები ერთმანეთთან 16-18 სანტიმეტრის დაშორებით დავტოვეთ.

ამის შემდეგ ნიადაგი კვლავ გავაფხვიერეთ.

ნათესის დამატებით გამოკვებას ოთხჯერ ვახდენთ. მაისის მეორე ნახევარში გაფხვიერებასთან ერთად ნიადაგში ჩათოხნით შეგვაქვს 1,5 ცენტნერი სუპერფოსფატი, 1 ცენტნერი გვარჯილა და 0,5 ცენტნერი კალიუმის მარილი. პირველი გამოკვებიდან დაახლოებით ათი დღის შენდეგ ნიადაგს ვაფხვიერებთ და იმავე რაოდენობის სასუქებით ვანოყიერებთ, როგორც პირველი დამატებითი გამოკვებისას. მესამედ დამატებით წუნწუხით ვკვებავთ. მოსავლის აღების დაწყებამდე დაახლოებით 7-10 დღით ადრე ვაწყობთ მეოთხე დამატებით კვებას შაქრიანობის გაზრდისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ შემთხვევაში ასე ვიქცევით: ერთ წილ ფოსფოროვან სასუქს ვხსნით ოთხ წილ წყალში, კარგად ვურევთ და ვწურავთ, შემდეგ კი ჭარხლის ფოთლებზე ბაღის სპეციალური მანქანით ვასხურებთ.

წლევანდელ ნათესს განსაკუთრებით კარგად ვუვლით. ჰექტარზე შევინარჩუნებთ 120 ათას ძირს, რაც მაღალი მოსავლის საწინდარია.

დ. მაჩნიაშვილი,
გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ მერგოლური.

მარგანეცის მოპოვების ნახევარი წლის გეგმის შესრულება

ჭიათურა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, 13 ივნისს შეასრულა მარგანეცის მადნის ამოღების ნახევარი წლის გეგმა.

ამჟამად მაღაროს კოლექტივი მადანს იძლევა წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

რჩევა-დარიგება კომგაინერეგს

ნოვატორ კომგაინერთა მაგალითით

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებისაგან უაღრესად მოჭარბებულ, ოპერატიულ მუშაობას მოითხოვს. მოწინავე კომბაინერები ამას აღწევენ ბეჯითი მუშაობის, შრომის სწორი ორგანიზაციის, პროგრესული მეთოდებისა და ხერხების გამოყენების გზით.

მაგალითად, სიღნაღის რაიონის ალაზნის მტს-ის კომბაინერმა მიხეილ ლაზარიაშვილმა 1952 წელს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 625 ჰექტარზე და ბუნკერიდან გადმოტვირთა 7.680 ცენტნერი ხორბალი. მოსავლის აღების ოსტატმა თავის კომბაინზე სხვა მრავალ ღონისძიებას შორის შემდეგი ღონისძიებაც განახორციელა: მოჭრილი თავთავების კამერიდან უკან გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად თხელი ფურცლოვანი რკინიდან დაამზადა 25 სანტიმეტრი სიგანისა და 55 სანტიმეტრი სიგრძის ფარი, რომელიც შეზნექილი მხრით მიმღები კამერისაკენ მიმართა. ეს ფარი ჭანჭიკებით დაამაგრა ხედერის მარცხენა მხრის დახრილ ნაწილზე და მას მარცხენა და ქვედა გვერდებზე გაუკეთა ტილოს ნაკეცები, რომლებიც თავის მხრივ ბოლოებით მიმაგრებული იყვნენ: პირველი — მიმღები კამერის ვერტიკალურ ძელზე, ხოლო მეორე — ჰორიზონტალურზე. რკინის ფარი იმავე დროს მიმღებ კამერას იცავდა მასში ხედერის ტრანსპორტიორის ჯაჭვების ჩავარდნისაგან უკანასკნელთა გაწყვეტის შემთხვევაში. ამ გზით ლაზარიაშვილმა ათლიანად მოსპო მოჭრილი თავთავების დანაკარგები.

იმავე რაიონის ულიანოვკის მტს-ის მოწინავე კომბაინერმა ილია ხომუტოვმა შარშან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 491 ჰექტარზე და ბუნკერიდან გადმოტვირთა 946 ტონა ხორბალი.

ხომუტოვმა კომბაინზე ასეთი გაუმჯობესება შეიტანა: დაბალი ჭრის დროს მჭრელი აპარატის მიერ მიწისა და ქვის დოლში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად ხედერის ქვემოდან თითების ძელის მთელ სიგრძეზე დააყენა 5 ცალი ცოცხა (მცოცი), რომლებიც საშუალებას არ აძლევენ თითებს დაეშვნენ ნიადაგის ზედაპირამდე 4 სანტიმეტრზე დაბლა.

კაბრეთის რაიონის ბადიაურის მტს-ის მოწინავე კომბაინერი ვასილ ოქრომჭედლიშვილი, რომელმაც სამამულო ომის დროს შეისწავლა კომბაინზე მუშაობა, ყოველდღიურად იმაღლებს კვალიფიკაციას. შარშან მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 515 ჰექტარზე და ბუნკერიდან გადმოტვირთა 726 ტონა ხორბალი.

კომბაინერად მუშაობის 11 წლის მანძილზე ოქრომჭედლიშვილს ჰქონდა ანანქანის იძულებითი გაჩერების შემთხვევები კარდანის ლილვზე ჩალისა და სარეველა ბალახების ღეროს დახვევის შედეგად; ამ მდგომარეობის აღკვეთის მიზნით მან კარდანის ლილვს მეორე სახსრის ქვემოდან ამოაკრა სქელი ფურცლოვანი რკინისაგან დამზადებული ხუფი, რომელიც მუშაობის დროს იცავს ლილვსა და გუკის მეორე სახსარს ჩალისა და სარეველა მცენარეების ღეროების დახვევისაგან. ამით მან თავიდან აიცილა მანქანის იძულებითი გაჩერების შემთხვევები.

წითელწყაროს რაიონის შირაქის მტს-ის მოწინავე კომბაინერი ივანე მელიქიშვილი ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. შარშან მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 418 ჰექტარზე და გალეწა 895 ტონა ხორბალი.

მელიქიშვილმა გასულ წელს დიდი რაოდენობით აიღო ჩაწოლილი ხორბალი, რისთვისაც იგი დაბალ ჭრაზე მუშაობდა. ასევე დიდ ყურადღებას იჩენდა დოლისა და დეკას სწორი რეგულაციის, ცხავების რხევისა და ჰაერის ნაკადის მიწოდების სისწორისადმი, რითაც უზრუნველყო მთელი სალეწი აპარატის სწორი მუშაობა და დანაკარგების მაქსიმალური შემცირება.

სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის მოწინავე კომბაინერი ივანე ინიუკინი 12 წელია საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს და უდანაკარგოდ იღებს მოსავალს, მაქსიმალურად იყენებს ტექნიკას.

მოწინავეთა გამოცდილების შესწავლამ და მანქანის კარგად ცოდნამ მას საშუალება მისცა გამოენახა მუშაობის ახალი მეთოდები და შეეტანა მანქანაში ცალკეული გაუმჯობესება ადგილობრივი პირობების მიხედვით. მაგალითად, დიდი ნამჯიანობისა და განსაკუთრებით ტენიანი პურის აღების დროს გაულეწავი თავთავების შემგროვებელ კამერაში საკმაოდ დიდი რაოდენობით გროვდება მასა, რაც იწვევს შნეკში თავთავის გაჭედვას, მის გაფეხას და მარცვლის დანაკარგების ზრდას გაულეწავი თავთავების სახით.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად კომბაინ „კომუნარის“ პირველადი წმენდის ჩარჩოზე ინიუკინმა დაამაგრა დამაცურებელი დაფა, დამზადებული თხელი ფურცლოვანი რკინისაგან. დაფას ორივე მხარეზე აქვს შემონაკეცები, რომლებიც ქმნიან 5-6 სანტიმეტრი სიმაღლის კედლებს. ამ კედლებით დაფა გარედან ორ-ორი ჭანჭიკით დამაგრებულია პირველადი წმენდის ჩარჩოზე, ისე, რომ იგი დაყენებულია თავთავების შემაგროვებელი კამერის უკანა დახრილი კედლის გასწვრივ მისი ზედაპირიდან 3-4 სანტიმეტრის დაშორებით. დაფის სიგრძე 10-12 სანტიმეტრით სჭარბობს ზემოხსენებული კედლის სიგრძეს.

აღნიშნული მოწყობილობა საგრძნობლად აუმჯობესებს კომბაინის მუშაობის ხარისხს. იგი საშუალებას იძლევა, ჯერ ერთი, უზრუნველყოფილ იქნას შნეკში გაულეწავი თავთავების თანაბრად მიწოდება და, მაშასადამე, შნეკის შეუფერხებელი მუშაობა; მეორეც, შემცირდეს დანაკარგები გაულეწავი თავთავების სახით (განსაკუთრებით კომბაინის ფერდობზე მუშაობის დროს).

ამ წარჩინებულმა კომბაინერმა გასულ წელს პურის მოსავლის აღების დამთავრებისთანავე გადააკეთა თავისი კომბაინი მზესუმზირას ასაღებად. 20 საამუშაო დღეში მან აიღო 160 ჰექტარი და გალეწა 150 ტონა მზესუმზირა.

ასევე ენერგიულად მუშაობს ჭარელის რაიონის აგარის მტს-ის მოწინავე კომბაინერი გიორგი ნოზაძე, რომელსაც 18 წლის საწარმოო გამოცდილება აქვს. ნოზაძემ გასულ წელს „სტალინეც-6“ კომბაინით მოსავალი აიღო 450 ჰექტარზე და გალეწა 498 ტონა ხორბალი.

კომბაინის ყველა ნაწილისა და კვანძის ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად კომბაინერი დილა-საღამოს ატარებდა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. აგრეგატის გაჩერებისთანავე იწყებდა ტექნიკურ მოვლას, მეშტურვალე ამოწმებდა ყველა სამაგრის მდგომარეობას და ახდენდა შეზეთვას; ტრაქტორისტი თავისი მანქანის ტექნიკური მოვლის შესრულების შემდეგ ეხმარებოდა მეშტურვალეს, ხოლო კომბაინერი აწესრიგებდა მანქანის ძირითად დეტალებს, კვანძებსა და ძრავს.

ახმეტის მტს-ის მოწინავე კომბაინერი სოლომონ რამაზაშვილი საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მან გასულ წელს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 630 ჰექტარზე და გალეწა 588 ტონა ხორბალი.

წარჩინებული კომბაინერის წარმატების საფუძველია საათობრივი გრაფიკით მუშაობა. ეს დიდად უწყობს ხელს კომბაინის აგრეგატის სრული ნაყოფიერებით გამოყენებას.

როგორც კომბაინერი აღნიშნავს, მანქანის გაჩერებით ბუნკერის გაცლაზე 5-6 წუთი მაინც იხარჯება, დღეში კი ზოგჯერ 30-40-ჯერ გაცლაა საჭირო, ესე იგი ამ შემთხვევაში დაახლოებით 3 საათამდე სამუშაო დრო ტყუილუბრალოდ იკარგება. ამიტომ ის ბუნკერის გაცლას კომბაინის გაუჩერებლად ახდენდა პირდაპირ ავტომანქანაში. ავტომანქანის მძღოლი ისე უფარდებდა მანქანის სიჩქარეს კომბაინის მოძრაობას, რომ რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

ენერგიულად მუშაობდნენ აგრეთვე ტექნიკის კარგად დაუფლებული კომბაინერები: რუისის მტს-დან—იოსებ ტიტვინიძე, წითელწყაროს მტს-იდან—გიორგი დოლიძე, ბადიაურის მტს-იდან — შალვა ალუღიშვილი.

კომბაინის შეუფერხებელი მუშაობისათვის მთავარია მისი რემონტის ხარისხი და მუშაობის პროცესში ტექნიკური მოვლის დროულად ჩატარება. ასაღებ ფართობში მუშაობის დაწყებამდე კომბაინი ერთხელ კიდევ უნდა შეეამოწმოთ უქმ სვლაზე: გავსინჯოთ მისი მუშაობა ნელ ბრუნვაზე, მანქანის კვანძებისა და დეტალების ურთიერთმოქმედება და შევუდგეთ მოსავლის შერჩევით აღებას ჯის მასობრივად დაწყებამდე. ამით კომბაინერი ერთხელ კიდევ რწმუნდება თავისი აგრეგატის სამუშაოდ მზადყოფნაში.

უმჯობესია მუშაობის პირველ დღეს აგრეგატი ვამუშაოთ არასრული დატვირთვით. ერთი საათის მუშაობის შემდეგ იგი მცირე ხნით უნდა გავაჩეროთ, ყველა მისი ნაწილი და კვანძი გულდასმით შევამოწმოთ და მოვაწესრიგოთ.

ამის შემდეგ განვაგრძობთ მუშაობას, 2-3 საათის ჯის შემდეგ კი კვლავ ვაჩერებთ მანქანას და განმეორებით ვატარებთ იმავე ღონისძიებებს. ამ პროცედურის შემდეგ, მეორე დღიდანვე უნდა ეზრუნველყოთ კომბაინის სრული დატვირთვით მუშაობა.

შეუწყნარებელია პურეულის მაღლა ჭრა, რადგან ამ დროს არ ხერხდება თავთავების მთლიანად აღება, არის მოსავლის მნიშვნელოვანი დანაკარგი. ამავე დროს შეუძლებელია მოსავლიანობის ზრდის ისეთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, როგორიც არის ჯის შემდეგ აოშვა და წინასახნისიანი გუთნებით შემდგომი ღრმა ხვნა. გარდა ამისა, არ ხერხდება ნამჯის სრულად შეგროვებაც. ამიტომ რაც შეიძლება დაბლა უნდა მოვჭრათ პურეული, მაგრამ ჭრის დადაბლება ზრდის ნამჯის ოდენობას, რაც სალეწი აპარატის, ნამჯის მბერტყაკისა და მწმენდავების გაზრდილ წარმადობას მოითხოვს.

„სტალინეც-6“ და თვითმავალ კომბაინებში ეს მოთხოვნები კარგად არის გათვალისწინებული. მათ აქვთ მძლავრი, დიდი წარმადობის სალეწი, რაც საშუალებას გვაძლევს ასეთი კომბაინებით პური ავიღოთ დაბალ ჭრაზე.

მჭრელი აპარატის შეუფერხებელი მუშაობა, აგრეთვე დანაკარგების შემცირება დიდად არის დამოკიდებული ტარაბუას დაყენებაზე. ამ უკანასკნელის რეგულირება უნდა მოვახდინოთ მჭრელი აპარატის მიმართ, სიმაღლეზე და ბრუნვათა რიცხვის მიხედვით.

კომბაინის სალეწი აპარატის რეგულირება მთავარი ამოცანაა. მოლტენიანი დოლი გამოლეწვას ახდენს სრულვით და ნაწილობრივი დარტყმით. დარტყმის ძალა მით უფრო მეტია, რაც მეტია დოლის ბრუნვათა რიცხვი. ასევე ითქმის თავთავიდან მარცვლის გამოყოფაზე, რაც უკეთ ხდება მაშინ, როცა ნაკლებია ღრეჩო დოლის შოლტებსა და დეკის თამასებს შორის. ეს განსაზღვრავს სალეწი მოწყობილობის რეგულირების წესებს, რაც დოლის ბრუნვათა რიცხვისა და დოლსა და დეკას შორის არსებული ღრეჩოს სიდიდის შეცვლაში მდგომარეობს.

მოსავლის აღებისას დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. ამიტომ ყოველი კომბაინერის საპატიო მოვალეობაა იბრძოლოს ამ ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის.

ახლა სოფლად დაძაბული შრომის დღეებია. დაიწყო მოსავლის აღება, რაც ყოველდღიურად ჩაღდება. კოლმეურნეები და მექანიზატორები ისწრაფვიან რაც შეიძლება მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. ამ მიზანს ისახავს კომბაინერთა შორის სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორია ახმეტის მტს-ის ცნობილი კომბაინერი სოლომონ რამაზაშვილი.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მხარი დაუჭირონ მოწინავე კომბაინერთა ამ პატრიოტულ თაოსნობას, უზრუნველყონ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველი კომბაინერისა და მექანიზატორის ჩაბმა, დაეხმარონ მათ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

ნოვატორ კომბაინერთა გამოცდილების გავრცელება სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამიტომ ყველა საჭირო ღონისძიება უნდა გან

სურათზე: სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი თბილისის რკინიგზის ვაგზალზე. ფოტო ვ. ზარიძისა.

სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები თბილისში

გუშინ, 16 ივნისს, თბილისს საგასტროლოდ ჩამოვიდა სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი. ვაგზალზე თბილისელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს. ჩვენი ქალაქის თანამშრომელთან საუბარში სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ამხ. **ს. ჭელიძემ** განაცხადა:

— ჩვენი თეატრი მეორედ ჩამოდის საქართველოს დედაქალაქში. ის გულთბილი შეხვედრა, რაც თბილისის საზოგადოებრიობამ პირველ გასტროლებზე მოგვიწყო, გვავალებს გამოვიჩინოთ მეტი პასუხისმგებლობა, რათა წელს უფრო მეტი წარმატება მოვიპოვოთ.

სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი თეატრია. მას არსებობის 65 წელი შეუსრულდა.

ჩვენი თეატრის უფროსი თაობის მსახიობთა უმეტესობა თეატრში მუშაობს იმ მომენტიდან, როცა დაიწყო პერიფერიული თეატრების შემოქმედების ძირფესვიანი გარდაქმნა. წინათ მსახიობთა დასი ყოველ წელს იცვლებოდა, რაც თეატრს ხელს უშლიდა შემოქმედებითს ზრდაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის 1938 წლის გადაწყვეტილებამ თეატრების სტაციონარიზაციის შესახებ ბოლო მოუღო დასის დენადობას და ხელი შეუწყო თეატრის განმტკიცებას როგორც უკვე დახელოვნებული, ისე ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობთა ნაკადით.

სუხუმის თეატრი, ისევე როგორც ყველა ქართული თეატრი, განიცდის ქართული ორიგინალური პიესების ნაკლებობას. ამით აიხსნება, რომ საგასტროლო რეპერტუარში ქართველ ავტორთა მხოლოდ სამი პიესაა — გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი", ს. კლდიაშვილის „დაბრუნება" და ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები".

ჩვენს რეპერტუარში არის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები. თბილისელ მაყურებელს ვაჩვენებთ გამოჩენილი უკრაინელი დრამატურგის ა. კორნეიჩუკის პიესებს „ძახველის ჭალას" და „პლატონ კრეჩეტს", თურქმენი დრამატურგის მუხტაროვის პიესას „ალანის ოჯახს". გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს რეპერტუარში შევიტანეთ კ. მიუფკის ახალი პიესა „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება".

რუსული კლასიკური მემკვიდრეობა რეპერტუარში წარმოდგენილი იქნება შემდეგი პიესებით: ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი", ტოლსტოის „ცოცხალი ლეში" და გორკის „მდაბიონი". ორი უკანასკნელი პიესა ქართულ სცენაზე პირველად ჩვენს თეატრში დაიდგა.

დიდი რუსი მხატვარი-რეალისტებისაგან ჩვენი თეატრის კოლექტივი სწავლობს პიესის იდეის ღრმად გახსნას, სახის სოციალურ არსში ჩაწვდომას. ამ მხრივ მსახიობთათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის სიძნელეს წარმოადგენდა გორკის „მდაბიონი". ეს პიესა მოკლეულია გარეგნულ გასართობ ფაბულას, ეგრეთწოდებულ „სცენიურობას". ჩვენ ძირითადი ყურადღება მივაქციეთ გორკის მშვენიერ ტექსტს, შინაგან დაძაბულ მოქმედებას და პიესაში მოცემულ მძაფრ სოციალურ კონფლიქტს. სპექტაკლმა „მდაბიონი" სუხუმელ მაყურებელში დიდი წარმატება მოიპოვა. კარგად მიიღო იგი ქუთაისის მაყურებელმაც. 17 ივნისს ჩვენს გასტროლებს თბილისში ვხსნით ა. კორნეიჩუკის ლირიკული კომედიით „ძახველის ჭალა". მეორე სპექტაკლად მაყურებელს ვაჩვენებთ მიმდინარე წლის ნამუშევარს — ა. ოსტროვსკის დრამას „უდანაშაულო დამნაშავენი". სულ განზრახულია 16 სპექტაკლის ჩვენება.

სუხუმის თეატრის კოლექტივი უდიდესი შემოქმედებითი მღელვარებით მოელის თბილისის მაყურებელთან შეხვედრას, მოელის სამართლიან, პრინციპულ კრიტიკას, რაც უთუოდ მოგვცემს მძლავრ სტიმულს შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის.

ჩვენი ფოსტა

მკითხველთა შენიშვნები გაზეთში

„კომუნისტის" რედაქცია ყოველდღიურად იღებს მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილებს, განცხადებებს, შეკითხვებს. მამხილებელი წერილებისა და კრიტიკული შენიშვნების ნაწილი ქვეყნდება გაზეთში, ხოლო ნაწილი ეგზავნება სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან უყურადღებით მოეკიდონ მათ.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოების დიდი უმრავლესობა გულისხმიერებას იჩენს გაზეთში გამოქვეყნებული მკითხველთა წერილებისა და სიგნალების მიმართ, რედაქციას დროულად უგზავნის პასუხს კორესპონდენციაში მხილებული ნაკლის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ს. გეგეშიძე) უყურადღებით ეკიდება პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და შენიშვნებს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ამას წინათ განიხილეს საკითხი პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ. თავის მხრივ საქალაქო საბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მრჩეველმა მსჯელობის საგნად გახადა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის საკითხი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი რიგი განყოფილებები (ჯანმრთელობის, ვაჭრობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, არქიტექტორის საქმეთა და სხვ.) უყურადღებას აქცევენ პრესაში მოთავსებულ მკითხველთა შენიშვნებს და დროულად იღებენ საჭირო ზომებს ამ შენიშვნებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი განყოფილება და ტრესტი სათანადოდ არ ემპაურება პრესაში მოთავსებულ იმ შენიშვნებს, რომლებიც მათ მუშაობას ეხება. მაგალითად, კომუნალური მეურნეობის განყოფილება 1952 წლის 1 იანვრიდან დღემდე პრესაში მოთავსებული შენიშვნებიდან, რომლებიც ეხება ამ განყოფილებისა და მისი ტრესტების მუშაობის ნაკლოვანებებს, სრულიად არ გამოხმაურებია 20 შენიშვნას. სახელდობრ, განყოფილებამ „კომუნისტის" რედაქციას არ აცნობა, თუ რა ზომები მიიღო ამა წლის 25 მარტს გაზეთში გამოქვეყნებული მეტად საჭირო წერილის გამო „სად მოვნახოთ წყალსადენის ხელსახანი ან ელექტრომონტიორი?".

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველომ რედაქციას 5 თვის დაგვიანებით უპასუხა 1952 წლის 23 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „მზრუნველობით მოვუაროთ საცხოვრებელ ბინებს", ხოლო საკითხის საბოლოო შესრულება საბინაო სამმართველოს დღემდე არ შეუმოწმებია.

აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისი განყოფილებების, ტრესტების, სამმართველოების ხელმძღვანელებმა და რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეებმა დროულად შეამოწმონ პრესაში გამოქვეყნებული მამხილებელი წერილები და შენიშვნები, რომლებიც მათ მუშაობას ეხება და მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ამასთანავე ამომწურავი პასუხი გასცენ რედაქციებს, რისთვისაც შემოიღონ პრესაში მოთავსებული მამხილებელი წერილებისა და შენიშვნების ცალკე აღრიცხვა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი საქმის მხოლოდ დასაწყისია. ღონისძიებებმა რომ სასურველი შედეგები მოიტანოს, საჭიროა მათი შესრულება. კრიტიკისადმი სწორი დამოკიდებულება იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე მიგვყავდეს დაწყებული საქმე, პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცებდეთ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლისადმი მისწრაფება მასებში და ქვემოდან კრიტიკა იზრდება და ფართოვდება მხოლოდ მაშინ, როცა კრიტიკული შენიშვნა მხარდაჭერას პოულობს, როცა ყველა პარტიული და სამეურნეო ორგანიზაცია ნამდვილად აღმოფხვრის ნაკლოვანებებს. გაზეთის თვითეული კრიტიკულ შენიშვნასა და წერილზე დროული გამოხმაურება ყოველი ხელმძღვანელი მუშაკის უპირველესი მოვალეობაა.

რუსთაველის სახელობის თეატრი გათუმში

გათუმი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). 16 ივნისს დილით გათუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში 150-ზე მეტი კაცია. სადგურზე თეატრის კოლექტივს შეხვდნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშრომელი მოსახლეობა და მოსწავლე ახალგაზრდობა.

თეატრი სპექტაკლებს გამართავს გათუმის სახელმწიფო თეატრში. 17 ივნისს გასტროლების პირველ სპექტაკლად წარმოდგენილი იქნება პ. პავლენკოს და მ. ჭიაურელის პიესა „დიდი მომავლისათვის".

გორის სახელმწიფო თეატრში

გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა ამ უკანასკნელ დღეებში მაყურებელს უჩვენა დიდი რუსი დრამატურგის ნ. ოსტროვსკის პიესა „უეცარი სიმდიდრე".

პიესა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ლაღიძემ, მხატვრულად გაფორმა დ. მირიანაშვილმა. როლების შესრულებით გამოირჩეოდნენ შ. ხერხეულიძე, ვ. კახნიაშვილი, ქ. ბოჭორიშვილი, ო. ლომიძე, ი. ოსაძე, მ. ბახტაძე.

თეატრის კოლექტივი ამზადებს დ. თაქთაქიშვილის პიესას „უკანასკნელი ნიღაბი", რომელსაც დგამს რეჟისორი გ. აბრამაშვილი. ეს იქნება თეატრის უკანასკნელი პრემიერა ამ სეზონში.

სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრი გასტროლებზე წავა რაიონებში და მაყურებელს უჩვენებს „გიორგი სააკაძეს", „რვალს", „ოჯახის ღირსებას" და სხვა სპექტაკლებს.

შეხვედრა რუსთავში

ქალაქ რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა მოაწყო თბილისის საწარმო-დაწესებულებათა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების შეხვედრა რუსთავის მშრომელებთან. შეხვედრაზე შეიკრიბა 3.000-მდე მშრომელი.

ასწლოვანი ხეების ქვეშ მოწყობილ ღია ესტრადაზე ერთმანეთს სცვლიდნენ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა.

ნინასაარჩევნო მიტინგი მიუნხენში

მაქს რაიმანის გამოსვლა

ბერლინი, 15 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გუშინ მიუნხენში გაიმართა წინასაარჩევნო მიტინგი, რომელსაც 50 ათასი კაცი დაესწრო. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა.

მშრომელები მიტინგზე მოვიდნენ დროშებითა და ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილი იყო ლოზუნგები: „ძმური სალამი ჩვენს მაქს რაიმანს!", „არ დავუშვებთ ტერორისტულ პროცესს გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ", „ჩვენ მოვითხოვთ ეროვნული გაერთიანების მთავრობას!".

მაქს რაიმანმა დაგმო ადენაუერის მთავრობის პოლიტიკა, როგორც მთავარი დაბრკოლება გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის გზაზე.

რაიმანმა ყველა დემოკრატიულ პარტიასა და დაჯგუფებას მოუწოდა გაერთიანდნენ, რათა შეიმუშაონ საერთო პლატფორმა ადენაუერის მთავრობის წინააღმდეგ, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელთა შორის შეთანხმების მიღწევისათვის ბრძოლაში.

დასასრულ მაქს რაიმანმა მოუწოდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში ხმა მისცეს გერმანიის კომუნისტური პარტიის კანდიდატებს და ამით ხმა მისცეს მშვიდობასა და გერმანიის ერთიანობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა დაჯილდოება კარლ მარქსის ორდენით

ბერლინი, 15 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის ცნობა იმის შესახებ, რომ კარლ მარქსის ორდენით დაჯილდოებული არიან მთელი რიგი პირები, სახელდობრ: როზა ტელმანი, ილზე კელერი და ოლღა კერნერი, აგრეთვე ოტო ბუხვიცი, გერმან დუნკერი, ოტო ფრანკე, ჰელმუტ ლემანი, გერმან მატერნი, გერმან შლიმე და ვილჰელმ ცაისერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა ეს პირები დაჯილდოვა მუშათა კლასისადმი ურყევი ერთგულებისათვის და გერმანიის მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში მრავალი წლის დამსახურებისათვის.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი «პრაღის გაზაფხული»

პრაღა, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიხსნა მერვე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის გაზაფხული".

ფესტივალში მონაწილეობენ თვალსაჩინო მუსიკოსები, მომღერლები, მუსიკალური მოღვაწეები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის სსრ კავშირიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, ჩილიდან, საფრანგეთიდან და სხვ.

ფესტივალი „პრაღის გაზაფხული" დიდი მოვლენაა საერთაშორისო მუსიკალურ ცხოვრებაში.

დღეს სმეტანას სახელობის დარბაზში გაიმართა პირველი კონცერტი.

დამთავრდა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობა

პრაღა, 16 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბრატისლავაში დამთავრდა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მუშაობა. კამათში გამოსულმა დელეგატებმა შეაჯამეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენციის დირექტივების შესრულების შედეგები.

ყრილობაზე მოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, რომელიც ყრილობას მიესალმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. ზაპოტოცკის სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშით.

დასასრულ გამოვიდა ვ. შიროკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობის მუშაობამ ცხადყო სლოვაკიის კომპარტიის ერთიანობა და დარაზმულობა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრები, მოიწონა რეზოლუციები სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების შესახებ.

ყრილობის დელეგატებმა მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

იტალიის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები

რომი, 16 ივნისი. (საკდესი). საკასაციო სასამართლოს ცენტრალურმა საარჩევნო ბიურომ შეამოწმა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროვინციული საარჩევნო ბიუროების მიერ წარდგენილი ცნობები და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იტალიის დეპუტატთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები ასეთია:

ვარგისად ცნობილი ხმების საერთო რაოდენობაა 27.087.601.

ქრისტიან დემოკრატთა ბლოკმა მიიღო 13.488.813 ხმა, აქედან ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ მიიღო 10.834.466 ხმა; სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — 1.222.957; ლიბერალურმა პარტიამ — 815.929; რესპუბლიკურმა პარტიამ — 438.149; „სამხრეთ ტიროლის სახალხო პარტიამ" — 122.447; სარდინიის მოქმედების პარტიამ — 27.231 და „მდინარე აოსტის ველის უნინომინალურ ოლქში ქრისტიან დემოკრატთა კანდიდატმა" — 27.607 ხმა.

დანარჩენ სიებს მისცეს 13.598.788 ხმა, აქედან კომუნისტურ პარტიას — 6.120.709; სოციალისტურ პარტიას — 3.441.014; „სახალხო ერთიანობის" მოძრაობას — 171.099; ეროვნულ დემოკრატიულ კავშირს — 120.685; მთავრობის საწინააღმდეგო სიების კანდიდატებს მდინარე აოსტის ველის უნინომინალურ ოლქში — 24.194; „სახალხო-მონარქისტულ პარტიას" — 1.854.850; „იტალიის სოციალურ მოძრაობას" — 1.579.880 და სხვა სიებს — 286.337 ხმა.

მთავრობის ბლოკმა მოაგროვა 109.975 ხმით ნაკლები, ვიდრე ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, ესე იგი ხმების მთელი რაოდენობის 49.78 პროცენტი.

რა ხდება ესპანეთში

პასუხი შეკითხვაზე

დღეს ესპანეთი ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც მთელი სიმწვავით განიცდის ფაშისტურ ტირანიას, უცხო კაპიტალის ლაქია ერთი მუჭა პოლიტიკური ავანტიურისტების თვითნებობას, ეკონომიკის კატასტროფულ დაცემას. იგი სულ უფრო ექცევა უოლსტრიტელი მაგნატების კაბალაში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ჰიტლერიზმის განადგურების შემდეგ ფრანკო ოკუპანტებისგაღმელი ბატონების სამსახურში ჩადგა. იანკებმა გაცხოველებით იწყეს ჩარევა ესპანეთის საშინაო საქმეებში. 1951 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ფრანკოს ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, განაცხადა, რომ იგი აპირებს ფრანკისტულ ესპანეთთან ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულების დადებას. ეს დაპირება მალე განხორციელებულ იქნა.

ფრანკო ცდილობს ვაშინგტონის ნდობა დაიმსახუროს. მას ძლიერ სჭირდება დოლარები. ესპანეთის ეკონომიკა ჩიხშია მომწყვდეული. ბურჟუაზიის ზოგიერთ ფენებშიც კი იზრდება უკმაყოფილება. ლამობს რა ამ მზარდი ბურჟუაზიულ ოპოზიციის განიარაღებას, ფრანკო უკვე ორ წელზე მეტია გაჰყვირის ამერიკული „დახმარების" შესახებ.

ავიწროებენ რა თავიანთ ინგლისელ კონკურენტებს, რომელთა კაპიტალი ესპანეთში რკინისა და ტყვიის მაღაროებშია დაბანდებული, ამერიკელი მონოპოლისტები ომისშემდგომ წლებში მტკაცედ გაბატონდნენ ესპანეთის ეკონომიკის მთელ რიგ დარგებზე. მათ დაისაკუთრეს ესპანეთის საფეიქრო, მეტალურგიული, გემთმშენებელი მრეწველობა, თხევადი საწვავისა და ელექტროენერგიის წარმოება, ხელთ იგდეს ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობა. ესპანეთის რადიოკ კი ამერიკული ტრესტის „კოლუმბია ბროდკასტინგ სისტემის" კონტროლქვეშ იმყოფება. ესპანელი მუშების სასტიკი ექსპლოატაციის შედეგად მიღებული დიდი მოგებანი მიდის არა მარტო ესპანელ მეწარმეთა ჯიბეში, არამედ ამერიკელ ბუნებისმენთა სეიფებშიც.

ჰენტაგონელი ბატონები დიდად აფასებენ ესპანეთის ტერიტორიას, როგორც სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიისა და ევროპაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელსაყრელ პლაცდარმს. ესპანეთის ბიუჯეტის 75 პროცენტი იხარჯება არმიის, სამხედრო მშენებლობის, დამსჯელი აპარატის გაძლიერებისათვის. იანკებმა დღემდე ესპანეთში 150-მდე აეროდრომი და აეროპორტი ააგეს. მათ-მე შექმნეს მსხვილი სამხედრო-საზღვაო ბაზები ლა-კორუნიაში, ალიკანტეში, კადისში, მალაგაში და სხვა ადგილებში. ფრანკისტული არმია მთლიანად ემორჩილება ამერიკელ სარდლობას და ამ სარდლობის მითითებებითვე ხდება მისი რეორგანიზაცია.

ომის ამერიკელი გამჩაღებლები, სერიოზულ სიძნელეებს რომ აწყდებიან ეგრეთწოდებული „ევროპული არმიის" შეკოწიწების საქმეში, წინდაწინ უერთებენ მის შემადგენლობას იმ დივიზიებსაც, რომლებიც მათი ბრძანებით უნდა გამოიყენოს ფრანკომ.

„ესპანეთს, — გულახდილად წერს ჟურნალი „ნიუს უიკი", — შეუძლია ხელი შეუწყოს დასავლეთ ევროპის დაცვას არა პირენეიზე, არამედ რეინსა ან ელბაზე (!).

ექვსიოდე კარგად შეიარაღებული ესპანური დივიზია, მომზადებული იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში სხვებთან ერთად დაიძრას პირენეიდან აღმოსავლეთისაკენ, შეძლებდა არსებითად განმტკიცებინა დასავლეთ ევროპის დაცვა".

ფრანკისტული ბანდისა და მისი ოკეანესგაღმელი მფარველების მტაცებლურმა პარპაშმა აოხრა ესპანეთი. სამხედრო ხარჯებისა და მათთან დაკავშირებული გადასახადების სიმძიმით ირღვევა ესპანეთის მთელი სამეურნეო ცხოვრება. ფრანკო თავხედურად იკვეხნის, რომ მისი სამხედრო მრეწველობა მთელი სამძლავრით მუშაობს. ამავე დროს ესპანეთში თუჯის გამოდნობა 60 პროცენტით შემცირდა, ხოლო საფეიქრო მრეწველობა 30 პროცენტით უფრო ნაკლებ პროდუქციას უშვებს ვიდრე 1935 წელს. ოფიციალური მონაცემებით, ესპანეთს აკლია 800 ათასი საცხოვრებელი ბინა, მაშინ როცა ფრანკო ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ პესეტს ხარჯავს ამერიკელი იმპერიალისტებისათვის აეროდრომებისა და ნავსადგურების აგებაზე. მარტო მადრიდის გარეუბნებში ნახევარ მილიონამდე ესპანელი საშინელ ჯურღმულებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობს.

ესპანელი მშრომელები შიმშილით სიკვდილისათვის არიან განწირულნი. ცხოვრების ღირებულება 1936 წელთან შედარებით 10-ჯერ უფრო გადიდდა. ბარათებით გაცემული პურის ყოველდღიური ნორმა 80-დან 150 გრამამდე მერყეობს. საწარმოთა უმრავლესობა კვირაში 2-3 დღე მუშაობს, ხოლო ზოგიერთ ქალაქში — 1 დღე, რის გამო ესპანეთში დღეს ნახევარ მილიონზე მეტი უმუშევარია. ადამიანები ქალაქებში ქანცგამოლეულნი და ჩამოკონკილნი დადიან. ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით, კატალონიის მუშა-ფეიქრების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 30 წელს არ აღწევს. ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი ფრანკისტული ტირანიის წლებში ერთისამად გადიდდა.

უარესი მდგომარეობაა ესპანეთის სოფლებში. ფრანკომ ესპანელ გლეხებსა და მოჯამაგირეებს 5 მილიონი ჰექტარი მიწა წართვა. ამ ფრანკისტულმა „რეფორმამ" საუკუნით უკან დასწია ესპანური სოფელი. ყველაზე მეტად დაზარალდა სოფლის მეურნეობის 4 მილიონზე მეტი მუშა, რომლებმაც მთლიანად დაკარგეს მიწა.

ამერიკელი ეკონომისტი საფრინნი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ეწვია ესპანეთს, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ქვეყნის სამხრეთი და ცენტრალური რაიონების მიწამცირე გლეხობა წლიურ შემოსავლად მხოლოდ 60-70 დოლარს იღებს. ეს შეადგენს 7 პესეტს დღეში. ხოლო ერთ კილოგრამი პური ესპანეთში 6 პესეტი ღირს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ესპანელ გლეხს თავისი დღიური შემოსავლით შეუძლია შეიძინოს მხოლოდ ერთ კილოგრამზე ცოტა მეტი პური.

ამავე დროს ესპანეთის მმართველი წრეები, უცხოეთის მონოპოლიები და სპეკულანტების მთელი ხროვა უზომოდ მდიდრდებიან მილიონობით მშრომელთა შიმშილისა და გაღატაკების ხარჯზე. მსხვილი ესპანელი მემამულეების ხელშია მთელი ნაციონალური შემოსავლის თითქმის ერთი მესამედი.

ესპანელი ხალხი მოკლებულია ყოველგვარ უფლებას. ფრანკომ და მისმა ფალანგამ მოსპეს ესპანელი ხალხის მიერ მრავალი წლის ბრძოლით მოპოვებული დემოკრატიული თავისუფლებები. მათ ესპანეთი უზარმაზარ საპყრობილედ გადააქციეს. 16 წლის განმავლობაში მოსპობილ იქნა მილიონი ესპანელი. სხვადასხვა რეპრესიები განიცადა 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა. ამჟამად 200 ათასი მამაკაცი და ქალი საშინლად იტანჯება საკონცენტრაციო ბანაკებში.

მაგრამ ამ მხეცურ ტერორს მაინც არ ძალუძს ესპანელი ხალხის მზარდი წინააღმდეგობის ჩახშობა. ესპანელ ხალხს სძულს ფრანკოს ბანდა და მისი მეურვეები — ამერიკელი მონოპოლისტები. ესპანელი პატრიოტები სისხლიანი რეჟიმის პირობებში გმირულ ბრძოლას ეწევიან ფაშიზმის წინააღმდეგ, ამერიკელ დამპყრობთა წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

ესპანელი ხალხის ბრძოლის სათავეში უდგას ესპანეთის გმირული კომუნისტური პარტია, რომელიც ამჟამად იატაკქვეშეთშია. კომუნისტური პარტია თავდადებით იბრძვის ანტიფრანკისტული ძალების ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნისათვის.

ესპანელ ხალხს მშვიდობა სურს. ასეულ ათასობით ესპანელმა, საპყრობილეში ჩამწყვდევის რისკით, ხელი მოაწერა სტოკჰოლმის მოწოდებას. მათ შორის არიან ესპანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, მსახიობები, მწერლები...

„ესპანელი ხალხი არასოდეს არ იბრძოლებს იანკებისათვის,—თქვა დოლორეს იბარურიმ. — ის არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლის სახელი და მაგალითი აღაფრთოვანებს ხალხს მის ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის!".

ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესმა ესპანეთის უბრალო ადამიანებისაგან მიიღო მრავალი წერილი, სადაც ისინი მშვიდობის დაცვის საქმისათვის მზადყოფნას გამოთქვამდნენ.

ესპანეთი პარტიზანული ომის ცეცხლშია გახვეული. გალისიისა და ესტრამადურის, ლევანტისა და გრენადის გმირი პარტიზანები ერთი წუთითაც არ წყვეტენ ბრძოლას. ამ ბრძოლაში ისინი მარტო როდი გრძნობენ თავს. მათთან არიან მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები. მიუვალი გვადარამის, მეამბოხე ასტურიისა და უდრეკი მადრიდის ამაყი სული დასტრიალებს მებრძოლი ესპანეთის დროშებს, რომელთა დახრა არ ძალუძს არავითარ ტერორსა და რეაქციას.

ა. კუსრაშვილი.

კოლუმბია

(ცნობა)

როგორც გუშინ ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, კოლუმბიის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა გუსტავო როხას პინილიამ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელთ იგდო ძალაუფლება. მან იკისრა რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციები. პრეზიდენტი ლაურეანო გომესი შინაური პატიმრობაშია.

* * *

კოლუმბია ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. იგი მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. კოლუმბიის ფართობი უდრის 1.139.000 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა 11.266.000 კაცია (1951 წლის ცნობით), დედაქალაქია ბოგოტა (410 ათასი მცხოვრები).

კოლუმბიის ტერიტორია აღმოაჩინეს ესპანელებმა 1499 წელს და შექმნეს კოლონია ახალი გრენადა. ამიტომ კოლუმბიაში დღესაც სახელმწიფო ენად აღიარებულია ესპანური ენა. 1813 წელს ახალი გრენადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ხოლო 1863 წლის 8 მაისს მას ოფიციალურად ეწოდა „კოლუმბიის შეერთებული შტატები“ (ქრისტეფორე კოლუმბის პატივსაცემად).

სამოციანი წლებიდან პანამის ყელით დაინტერესდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა კარნახით პანამის შტატი გამოეყო კოლუმბიას და თვითმმართველობა მიიღო, ხოლო 1903 წელს გამოცხადდა პანამის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, ფაქტიურად კი იგი ამერიკის შეერთებული შტატების სრულ კონტროლქვეშ მოექცა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალმა ფაქტიურად ხელთ იგდო კოლუმბიის მთელი ეკონომიკა. საგარეო პოლიტიკაში კოლუმბია ამერიკის შეერთებული შტატების მიმდევარია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლის-ამერიკის ბლოკს უჭერს მხარს.

* * *

კოლუმბია პლანტაციური სუბტროპიკული მეურნეობის ქვეყანაა, რომელიც სპეციალიზებულია ექსპორტზე. იგი იმპერიალისტური ქვეყნების აგრარულ-სანედლეულო ბაზაა და მისი მეურნეობა ნახევრად-კოლონიური ტიპისაა.

სოფლის მეურნეობაში წამყვანი კულტურაა ყავა (ყავის ექსპორტით კოლუმბიას მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში ბრაზილიის შემდეგ), ბანანი და შაქრის ლერწამი. ნაწილობრივ საექსპორტო მნიშვნელობა აქვს თამბაქოს, კაკაოსა და ციტრუსოვანებს. სოფლის მეურნეობაში დიდია მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მეღორეობის ხვედრითი წონა.

სამთომოპოვებითი მრეწველობიდან მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ნავთობს (მესამე ადგილი ლათინურ ამერიკაში ვენესუელისა და მექსიკის შემდეგ). წლიურად იღებენ 3-3,5 მილიონ ტონას (1948-1950 წ. წ.).

გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ხდება ოქროსა და პლატინის მოპოვება. ნავთობი, ოქრო და პლატინა ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში გააქვთ.

კოლუმბიის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალს, ხოლო ინგლისის გავლენა თანდათანობით სუსტდება, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

კონცერნები ნარმაგებას აღნევენ მშრომელთა ინვერესების საზიანოდ

ნიუ-იორკის შტატის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება

ნიუ-იორკი, 16 ივნისი. (საკდესი). ნიუ-იორკის შტატის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას.

არასოდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ნათქვამია განცხადებაში, არ ყოფილა საზოგადოებრივი პოსტების ასე სრული და უსიტყვო ჩაბარება გიგანტური კონცერნებისა და ფინანსური ინტერესების წარმომადგენლებისათვის... იმ კომპანიების ბევრი ხელმძღვანელი, რომლებსაც საქმე აქვთ მთავრობასთან, დაყენებულია მთავრობის ორგანოების სათავეში, რომლებიც ამ კომპანიების უდიდესი დამკვეთლები არიან.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი მაღალი პოსტები და ორგანოები ჩაბარებული აქვთ იმ ადამიანებს, ვინც წინათ მეტად მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა პროგრამებისადმი, რომლებიც მათ უნდა შეასრულონ.

აღნიშნავს რა, რომ „წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიცემულ ფართო დაპირებებს მოურიდებლად არღვევენ“, საბჭო აცხადებს, რომ მთავრობა ახორციელებს პოლიტიკას მხოლოდ მონოპოლიებისა და ტრესტების ინტერესებისათვის. „მთავრობამ, — ნათქვამია განცხადებაში, — გასცა ფედერალური უფლებანი შეერთებული შტატების სანაპიროს გასწვრივ წყალქვეშ მდებარე ნავთობის საბადოებზე, რომლებიც შეფასებულია 50-დან 400 მილიარდამდე დოლარად. ამ საქმის განხორციელებისათვის ნავთობის მონოპოლიები ფარულ კამპანიას ეწეოდნენ მრავალი წლის განმავლობაში და მილიონობით დოლარს ხარჯავდნენ ამისათვის.

ამ ბრძოლაში ნავთობის გიგანტური კომპანიების ინტერესები ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების ხალხის ინტერესებს. ბრძოლა ნავთობის კომპანიების სასარგებლოდ დამთავრდა... მთავრობამ გამოაცხადა გეგმა, რომლის თანახმად კორპორაციებს უნდა მიჰყიდონ ხელოვნური კაუჩუკის დამამზადებელი ქარხნები, რომელთა აგება გადასახადის გადამხდელებს დაუჯდათ ნახევარი მილიარდი დოლარი, ისეთ ფასად, რომელიც მათი ღირებულების 15 პროცენტს შეადგენს“.

საბჭო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებმა არ შეასრულეს წინასაარჩევნო დაპირება ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშური კანონის შეკვეცის შესახებ. უფრო მეტიც, ნათქვამია განცხადებაში, „მთავრობამ აგრძნობინა ხალხს, რომ იგი მხარს უჭერს ამ კანონის შესწორებებს, რომლებიც შტატების ხელისუფლებს საშუალებას მისცემენ გაფიცვების, პიკეტირებისა და ორგანიზაციული საქმიანობის წინააღმდეგ გამოიყენონ კიდევ უფრო მკაცრი შეზღუდვები იმასთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია ტაფტ-ჰარტლის კანონით“.

სუეცის არხის ზონაში არსებული მდგომარეობისათვის

ლონდონი, 13 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მუსაკარიდან (სუეცის არხის ზონა) გადმოგვცემს:

ინგლისელთა ჯარებმა გუშინ, 12 ივნისს, სროლა აუტეხეს ეგვიპტელთა ჯგუფს, რომელმაც სცადა შეეჩერებინა ფაიიდში მდგომი კავშირგაბმულობის პოლკის პანაკში და მოკლეს ერთი ეგვიპტელი. ორი ეგვიპტელი მცველებმა შეიპყრეს. სააგენტო იუწყება, რომ მუსაკარის რაიონში ინგლისელმა პარაშუტისტებმა ერთი ეგვიპტელი დაჭრეს.

„დაუვიწყარი და არაჩვეულებრივი“

შვეიცარიელი კალათბურთელები მოსკოვში ყოფნის შესახებ

ბერნი, 16 ივნისი. (საკდესი). შვეიცარიის კალათბურთელთა გუნდის წევრებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კალათბურთელთა ევროპის პირველობის გათამაშებაში, ჟაკ რედარმა, პიერ ალბრეტმა, ცაან-პიერ ვუაზენმა და ანრი დეკომ გაზეთ „ვუა უვრიერის“ კორესპონდენტს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი მოსკოვში ყოფნისა და პირველობის გათამაშების შესახებ.

— პირველი, რამაც გაგვაოცა მოსკოვში, განაცხადეს მათ, — ეს არის დიდი თეატრი, სადაც მოვისმინეთ ოპერა „თავადი იგორი“. მოსკოვის მეორე ღირსშესანიშნაობაა უნივერსიტეტის შენობა, ყველაზე გრანდიოზული შენობა, რომელიც კი ოდესმე გვინახავს. საერთოდ მთელი მოსკოვი წარმოადგენს დიად მშენებლობას. ქალაქის ცენტრი საუცხოოა. ქუჩები არაჩვეულებრივად განიერია, მოძრაობა უფრო გაცხოველებულია, ვიდრე პარიზში.

გასაოცარია მოსკოვის მეტრო. მეტროს სადგურები ერთიმეორეზე უკეთესია.

სტალინის სახელობის ქარხნის კულტურის სასახლეში ყოფნის შესახებ კალათბურთელები აღნიშნავენ: „ეს შენობა უფრო დიდია, ვიდრე „ოტელ დე რიუსი“ ჟენევაში. იქ არის ყველაფერი, რის წარმოდგენაც კი შეიძლება: სათამაშო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მაყურებელთა დარბაზი, სადაც ჩვენ ვნახეთ სტერეოსკოპიული კინოფილმი, საცეკვაო დარბაზი, მოხალისე მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა“.

პირველობის გათამაშების შესახებ შვეიცარიელმა კალათბურთელებმა განაცხადეს:

მოსკოვში ბევრი საუცხოო სტადიონი და სასპორტო სავარჯიშო დარბაზია. სტადიონი, სადაც გათამაშება მიმდინარეობდა, 80 ათას კაცს იტევს. მატჩებს საშუალოდ ესწრებოდა 35 ათასამდე კაცი. მოსკოველი მაყურებელი თამაშის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შემფასებელია...

შეჯიბრების ორგანიზაცია უბადლო იყო. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კალათბურთელებმა. ისინი უძლეველი არიან. მათი ზუსტი თამაში და სიმარჯვე შეუდარებელია. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა გუნდი საუცხოო ფორმაში იყო: მათ აქვთ პირობები ვარჯიშობისათვის, რომლებიც სანატრელია ჩვენთვის.

დასასრულ შვეიცარიელმა კალათბურთელებმა განაცხადეს, რომ მოსკოვში მათი ყოფნა „დაუვიწყარი და არაჩვეულებრივი“ იყო.

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 15 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე წარმოებდა საარტილერიო სროლა.

გუშინ ამერიკის ავიაციამ სასტიკად დაბომბა თხიაგონის წყალსაცავი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი და დააზიანეს ერთი თვითმფრინავი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 15 ივნისი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

15 ივნისს გაიმართა ორივე მხარის შტაბის ოფიცრების ორი ჯგუფის დახურული სხდომები. სხდომები გაგრძელდება 16 ივნისს დილის 11 საათზე.

დღით გაიმართა ავრეთვე ორივე მხარის მეკავშირე ოფიცერთა ჯგუფის სხდომა.

თბილისი

სურათზე: დ. თორაძის ახალი ბალეტის „მშვიდობისათვის“ ფინალური სცენა.

ფოტო ხ. ეგოროვისა.

ახალი ბალეტი „მშვიდობისათვის!“

დ. მჭედლიძე,
ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი.

დღეს, 17 ივნისს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ახალ საბალეტო სპექტაკლს „მშვიდობისათვის!“. სპექტაკლის ავტორები არიან თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი ვ. ჭაბუკიანი და კომპოზიტორი დ. თორაძე.

თეატრის კოლექტივმა ქორეოგრაფიული საშუალებებით თანამედროვე თემის გადაჭრისათვის გამოიყენა პროფესიული ოსტატობის მთელი გამოცდილება. ჩვენი თეატრის საბალეტო ჯგუფმა ქართული ეროვნული კლასიკური ბალეტის ფუძემდებლის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი სპექტაკლები, როგორიც არის კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის „მთების გული“, კომპოზიტორ გ. კილაძის „სანათლე“, კომპოზიტორ კრეინის „ლაურენსია“, კომპოზიტორ დ. თორაძის „გორდა“. ამ სპექტაკლებმა საზოგადოებრივობის მაღალი შეფასება მიიღეს და მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობენ.

დიდი საბალეტო დადგმების დროს თეატრში ჩამოყალიბდა როგორც სოლისტების, ისე კორდებალეტის საუკეთესო კადრები, რომლებსაც შეუძლიათ ქორეოგრაფიული საშუალებებით გადაჭრან ყოველგვარი სცენიური ამოცანა. ამან შესაძლებლობა მისცა თეატრს შესდგომოდა ყველაზე პასუხსაგები ამოცანის შესრულებას — საბჭოთა თემაზე საბალეტო სპექტაკლის შექმნას.

ახალი ბალეტი „მშვიდობისათვის“ ქორეოგრაფიული საშუალებებით აჩვენებს მაყურებელს ერთ-ერთ ზღვისპირა კურორტზე საბჭოთა ადამიანების ჯგუფის ცხოვრებასა და დასვენებას. მხიარული თამაში, ფიზკულტურული ვარჯიში, მწყობრი ფერხული მკაფიოდ ცხადყოფს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობას. შავი ზღვის პირას დასასვენებლად მოსულნი, ისინი სარგებლობენ მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთით მტრის უეცარი თავდასხმა არღვევს საბჭოთა ხალხის ამ ბედნიერ ცხოვრებას. ნაჩვენებია სამამულო ომის ისტორიის ფურცლები. ყველა საბჭოთა ადამიანის, დიდის თუ პატარის, ბრძოლა მტრის მიერ დროებით დაპყრობილ მიწა-წყალზე მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ თვისებებს, მის მონოლითურობას, უძლეველ ძალას.

მტერზე გამარჯვების შემდეგ მოქმედება გადადის მშვიდობის დაცვის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე. მსოფლიოს ხალხთა უამრავი წარმომადგენელი ებმება საერთო ფერხულში, რითაც ცხადყოფს თავის ერთგულებას მშვიდობის საქმისადმი.

ავტორების განზრახვა იყო სპექტაკლში ეჩვენებინათ საბჭოთა ადამიანების მისწრაფება მშვიდობისადმი. ბედი გმირებისა, რომლებსაც ძლიერ უყვართ ერთმანეთი, განუყოფელია სამშობლოსადმი მათი სიყვარულისაგან. მთავარი გმირების მოქმედებისა და ურთიერთობის საშუალებით მიმდინარეობს სპექტაკლის დრამატურგიული განვითარება. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამმობილი ხალხურ სცენებს, რომლებშიც საბალეტო ჯგუფის გარდა მონაწილეობას იღებენ გუნდის მთელი შემადგენლობა, ქორეოგრაფიული სტუდია და მომიკური ანსამბლი.

საბჭოთა ქორეოგრაფიული სპექტაკლის შექმნა ისეთი პასუხსაგებ თემაზე, როგორიც არის მშვიდობის თემა, სამამულო ომის ეპიზოდებით, მეტად ძნელი, მაგრამ ფრიად საჭირო საქმეა. საბჭოთა ადამიანების, მათი მაღალი მორალური სულის, სოციალისტური სამშობლოსადმი მათ უანგარო სიყვარულის, მათი გმირობის, მშვიდობის საქმისადმი მათი ერთგულების ჩვენება — აი ის დიდი და წარმტაცი ამოცანები, რომლებსაც ისახავდა თეატრი სპექტაკლის შექმნის დროს.

ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობის შემდეგ თეატრს საბჭოთა მაყურებლის სამსჯავროზე გამოაქვს თავისი ნამუშევარი. ჩვენ წინასწარ არ ვაძლევთ შეფასებას კოლოსალურ მუშაობას, რაც გასწიეს თეატრის კოლექტივმა, საბჭოთა ქორეოგრაფიის გამოჩენილმა ოსტატმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, რომელმაც ამ სპექტაკლს მოახმარა თავისი დიდი ოსტატობა როგორც შემსრულებელმა, დამდგმელმა და ავტორმა, კომპოზიტორმა თორაძემ, სპექტაკლის დირიჟორმა — ვ. ფალიაშვილმა და მხატვრებმა ასკურავამ და ლაპიაშვილმა, რომლებმაც გააფორმეს სპექტაკლი.

ამ შეფასებას თეატრის კოლექტივი და დამდგმელი ელიან საბჭოთა მაყურებლისაგან.

ქალაქის ქრონიკა

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

გრიბოედოვის სახელობის თეატრმა ... დღეებში მაყურებელს უჩვენა თავისი უკანკნელი დადგმა სეზონში — ს. მიხალკოვის სატირული კომედია „კობოები“. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ა. თაყაიშვილს, გაფორმება მხატვარ ი. შტენბერგს. მთავარ როლებს ასრულებდნენ ა. ზაგორსკი, ე. სატინა, პ. ლუსპეკაევი, ა. ნირვანოვი, ბ. ვიაზემსკი და სხვები.

28 ივნისს თეატრი ამთავრებს სეზონს. საგასტროლოდ მიემგზავრება სუხუმში. პარალელურად სპექტაკლები გაიმართება ტყვარჩელში, კვეზანში, გალში, ოჩამჩირეში, გაგრაში. თეატრის რეპერტუარშია პიესები „კოკეტი“, „ღრმა დაზვერვა“, „მესამე ახალგაზრდობა“, „ვასა ჟელეზნოვა“, „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვები.

სუხუმის შემდეგ თეატრი წავა საგასტროლოდ ბათუმში.

დავით მელაშვილის შემოქმედებითი საღამო

ძველი ასოთამწყობი მუშა დავით მელაშვილი ავლაბრის ყოფილი სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწეა. ამავ დროს დავით მელაშვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა: თანამშრომლობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, მართავდა წარმოდგენებს სოფლებში.

ამ დღეებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლმა გამგეობამ მოაწყეს სახალხო თეატრის თვალსაჩინო მოღვაწის დავით მელაშვილის შემოქმედებითი საღამო. პოეტ-აკადემიკოსის სტალინური პრემიის ლაურეატის ი. გრიშაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ დავით მელაშვილის შემოქმედების შესახებ მოახსენება გააკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნაშვილმა. მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ს. ავჩიანი, გ. ხეჩუაშვილი, ს. ფაშალიშვილი, რესპუბლიკის სახალხო artისტები შ. გომელაური, გ. ფირუმიანი, თეატრმცოდნე ა. ბურთიკაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. დარსპანაშვილი, გ. ჯაბაური.

რესპუბლიკური ჩემპიონები წყალბურთში

14 ივნისს თბილისის წყალსაცურაო სადგომზე ... ლამაზად იყო მორთული. აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ბათუმის, სუხუმისა და ფოთის გუნდები.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ გასულ წლის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ და „ინკრასი“ წყალბურთელთა გუნდი. „ინკრასის“ სპორტსმენებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს დინამოელებს და შეჯიბრება წაგებულ ანგარიშით 1 : 9.

ფოთის „ვოდნიკისა“ და ბათუმის მეორე გუნდის შეჯიბრება დამთავრდა ბათუმელ წყალბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:2.

პირველი დღის შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ბათუმის პირველი გუნდისა და სუხუმის „დინამოს“ შეჯიბრება. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1 : 1. მეორე ტაიმის დასაწყისში ბათუმელებმა მეორე ბურთი გაიტანეს „დინამოს“ კარში, მაგრამ სუხუმელებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში. ბოლო წუთებში ბათუმელმა სპორტსმენებმა ღამატებით ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეს კარში და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:2. გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. შეჯიბრება გაგრძელდება 18 ივნისამდე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

17 ივნისს	ახალი ბალეტი. დ. თორაძე— **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).
18 ივნისს	ზ. ფალიაშვილი— **აბესალომ და ეთერი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ფილარმონიის საზაფხულო დარბაზი
(მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენები)

17 ივნისს	**დიდი კონცერტი**

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 30 ივნისს დღის 3 საათზე სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) **მარიამ ალფეზის ასული კვირკველია** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ღვიძლის ზოგიერთი ფუნქციური სინჯების შესწავლის კლინიკური ღირებულება ქირურგიულ დაავადებათა დროს, კორტიკო-ვისცერალური რეგულაციის თვალსაზრისით“.**

ოფიციალური ოპონენტები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. დ. **ერისთავი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ნ. **ბაკურაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **შ. რ. თოფურია.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 10).

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ლენინის ორდენოსანი სახელგწიფო თეატრი

17 და 19 ივნისს — ახალი სპექტაკლი

„მშვიდობისათვის!“

კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი **დ. თორაძე**, სპექტაკლის ავტორი **ვ. ჭაბუკიანი**, დირიჟორი **ვ. ფალიაშვილი**, მხატვრები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სტალინური პრემიის ლაურეატი **ფ. ლაპიაშვილი** და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ი. ასკურავა.** სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის **ვ. ჭაბუკიანის** მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

დეიდა ელენე, ბიძა მათე, დეიდაშვილები სტეფანე, ციალა ახმეტელები, ბიძინა, ცაცა ალადაშვილები შვილებით იუწყებიან **ვახტანგ ვლადიმერის-ძე რობიტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-VI, 8 ს. გამოსვენება 18-VI, 5½ ს. კოტე მესხის ქ. № 14.

ბიძა შაქრო, ბიძაშვილები გულიკო, ლევან რობიტაშვილები, მამიდა ელენე, ბიძა კოტე, მამიდაშვილი თამარ ტაბატაძეები იუწყებიან **ვახტანგ ვლადიმერის-ძე რობიტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-VI, 8 ს. გამოსვენება 18-VI, 5½ ს., კოტე მესხის ქ. № 14.

რძალი ნინუცა საყვარელიძე, ძმისწულები ლევან, გრიგოლ, გიორგი ალავიძეები, რძლები ანა, მინადორა, რაისა, სიძე შალვა ასათიანი მეუღლით თამარით იუწყებიან **სიმონ ზურაბის-ძე ალავიძის** გარდაცვალებას.

მაკრინე, ივლიტა, ისიდორე, ივლიტა, ნიკო, გოგუცა, ლევან ახვლედიანები და ნოშრევან ლაშხი იუწყებიან დეიდაშვილის ექიმ **რაითას ლებეოსის-ძე ასათიანის** გარდაცვალებას.

ნ. ცხომელიძე, მ. შარაფიანი, მ. მელიქიშვილი, ს. ენუქიძე, თ. კაკაბაძე, ფ. თავმამიშვილი, ე. ჩილინგარიშვილი, ს. ყიფიანი, ნ. ოქროპირიძე, შ. ფარჯანაძე, ა. ლაზარიდი, მ. პარკაძე, ე. აფხაზავა, ვ. გოკიელი იუწყებიან დოცენტ **მერი შამშეს ასულ ლეჟავას** გარდაცვალებას.

დედა ლიზა, მეუღლე ნიკო ტარასაშვილი, შვილები შოვინა, მაისა, ლალი, სიძე ე. ლეჟავა, შვილიშვილი პაატა, და თინათინ ლეჟავა, დეიდა კატო ჭიჭინაძე იუწყებიან დოცენტ **მერი შამშეს ასულ ლეჟავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19-VI, 8 ს. გამოსვენება 20-VI, 5½ ს. ენგელსის ქ. № 58.

მშობლები სერგი, მინადორა, ძმა პავლე, დები მარიამ, ლუბა, სიძე ვასილ კორძახია, რძალი მარო, დისწულები ნოშრევან, თამაზ, ვიოლეტა, მზია, ძმისწულები სერგო, ქეთო იუწყებიან **თოარ სერგის-ძე გელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VI, 3 ს. დ. წაღვერში.

ანდრო პარკაძე მეუღლით თამარით და შვილით მედეათი, ლიდა გრძელიშვილი შვილით ვახტანგით იუწყებიან სიძის **ერასტი მიხეილის-ძე მისაბიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-VI, 8 ს. გამოსვენება 18-VI, 6 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 6.

დეიდა მარო, დეიდაშვილები დავით, სერგო, გიორგი გოცირიძეები ოჯახებით იუწყებიან **მერი შამშეს ასულ ლეჟავას** გარდაცვალებას.

სამტრესტის კონიაკ-არაყის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **თოარ სერგოს-ძე გელაშვილის** გარდაცვალებას.

ნ. მამფორია, შ. ფხაკაძე, პ. სულაქველიძე, ვ. ფაიქიძე, კ. ლეონიძე, გ. ლალიაშვილი, ბ. ჯავახაძე, თ. ალხაზაშვილი, ქ. ლომიძე, მ. ჭუმბურიძე იუწყებიან **ოთარ ქრისტეფორეს-ძე ესაიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-VI ქ. ქუთაისში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 27 ივნისს დღის 12 საათზე № 25 აუდიტორიაში (მე-3 კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 11) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვენერა ვლადიმერის ასული ინგოროყვა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბორჯომის ხეობის ტყის მცენარეულობის წარმოშობა“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **ვ. გულისაშვილი,** დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **ვ. მირზაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 27 ივნისს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბიძინა ივანეს-ძე ლუტიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„შემეცნების თეორიის საკითხები ი. ბ. სტალინის ადრინდელ შრომებში (1901-1907 წწ.)“**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **კ. ბაქრაძე,** დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **შ. ბიწაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **მ. ა. ცამერიანმა,** მცხოვრებმა ძნელაძის ქ. № 39, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარო ანტონის ასულ ოგანეზოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

რედაქციის. გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65. გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04318 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.